



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძე

თხზულებანი
თხუთმეტ ტომად

თბილისი 2017

გალაკტიონ ტაბიძე

ტომი V

ლექსები. პოემები

1932-1936

თბილისი 2017

UDC (უაკ) 821.353.1-1
ტ-154

სარედაქციო პოლეგია

თემურაზ დოიაშვილი მთავარი რედაქტორი
ლევან ბრეგაძე
ირაკლი კენჭოშვილი
ემზარ კვიტაიშვილი
ირმა რატიანი
როსტომ ჩხეიძე
ნათია სიხარულიძე პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი ირმა რატიანი

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები,
შენიშვნები და კომენტარები დაურთეს

ნათია სიხარულიძემ და ნანა ფრუიძემ

პროექტი: „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთ-
მეტტომეული. პირველი ნაწილის (ტ. 1-5) გამოსაცემად მომზადება
და გამოცემა“ (№FR/45/1-20/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ISBN 978-9941-0-9186-5 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-0-9738-6 (მეხუთე ტომის)

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
© ავტორთა ჯგუფი

ՀԱՅՍԵՐՈ

ჰოთი და ოქტომბერი

წინად აქ მხოლოდ ერთი ხე იდგა
და ბალიც თითქო იყო სხვაფერი,
შემდეგ ოქტომბრის ამბავებიდან
ეს არემარე გახდა მდიდარი.
იმ უსახელო და მაღალ ხიდან
ეხლა არ დარჩა ალარაფერი,
ძველი რუსეთის ნანგრევებიდან
ლანდიც არაა არავითარი!

ვიყავი შვილი, ქმარი და მამა
და მეგობრები მყავდა მრავალი,
მაგრამ ჩემთვის ხომ არ იყო ჩიხი
და უცნობლობა გზათა ამ არის,
მრავალთა ხევდრმა ხომ ჩემთან ერთად
ჰპოვა ჩიხიდან გამოსავალი.
მეფე არ არის, ხეც ალარ არის,
მაგრამ ჰოეტიც ხომ ხე არ არის?

ჰოეტს, რომელმაც ფიქრად გახადა
იმ დროის ლელვა და საძრაობა,
რომელმაც სძებნა, იპოვა, გასჭრა
და გააშუქა გზა ლამიანი –
სხვას თუ ხე და ქვაც კი არა ჰქვია,
არამედ მხოლოდ არარაობა –
სხვა ნებისყოფით არის ჰოეტი
და მშვენიერი ადამიანი!

ჩემთვის ყველაზე კარგი ეს არის –
იმ ქარიშხლიან დღეთ მოგონება;
ბევრი არ არის ეხლა ცოცხალი,
ვინც იმ გრიგალის ხმა გაიგონა!

კარგია, სხვას ერთს კვარცხლბეკად ჰქონდეს
მისტერიების ნისლი მარადი.
რა ბედენაა ჰოეტისათვის

დროთ გარდასულთა ისევ მონება.
გადარჩე, თვითონ დასტოვო ყველა
არავისითა და არარათი –
და თავის თავის დარჩენის მეტი
ვერაფრის შესძლო გამოგონება.

შემდეგი ხანის წვიმა, ნისლია,
შემდეგ გაისმის ქვეყნად ძახილი:
ასწით სინათლე, ასწით გუთანი,
გადაინახეთ ხნულისთვის თესლი,
ადექით, ვისაც რა შეგიძლიათ,
გმირული დარჩეს ქვეყნად სახელი,
დაგროვილია საზღვრების ახლო
დამარცხებულთა შური და გესლი!

იქ, საზღვარგარედ უდაბნო-გვალვა
შიმშილით ჰკალავს ხელოვნურ ზეცებს;
უშრება ხახა უსასო მასებს
და ყელში წვება გულის არევით,
თაგვებთან ერთად დაეძებს ხალხი
დაობებული პურის ნამცეცებს,
გული გამოწყდა დაგებულ მახეს
და საბუდედან დაჰქრის ქარივით!

მაგრამ მოვა დრო: მედგარი წვიმა,
მსოფლიო წვიმა დაჰკრავს ჯეჯილებს –
მიებჯინება იგი პოლიუსს,
ვით ცისარტყელას ფერი მზიანი.
წყალს იგი თუ არ, სხვა ვერვინ მისცემს
წყურვილისაგან ხმაჩახლეჩილებს –
იგი: მსოფლიო ოქტომბრის შუქი,
ქვეყნის პირველი მერიდიანი!

[1931–1932]

ოქტომბრის სიმფონია

ქუჩებში ქუხდენ ორატორები:
დრო დადგა... ტყვიის სუნთქვა გროვდება
და ჩვენს ცხოვრებას არალეგალურს
აღფრთოვანება უახლოვდება.
გვინახავს ციხე, დევნა, კატორდა,
ბორკილის ჟღერა, ბრძოლების ზვავი,
მაგრამ ვერ სძლევენ ორგანიზატორს...
აი, რა არის თავი და თავი!
როცა გრიგალი მოეჩვენება
სხვა რომელიმეს, უქმად მოვლენილს, –
ზოგს შიშით სძინავს, ზოგს მართლა სძინავს!
ბევრს სძინავს, მაგრამ არ სძინავს ლენინს!
ჩვენ ვიყოთ ფხიზლად, მსოფლიო მალე
საბედისწეროს გაიგებს ხმასა, –
ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენა ვართ
მებრძოლი მასა,
მშრომელი მასა!

თვალწინ იშლება სხვა პორიზონტი,
იმავე ღელვით გუგუნებს ფრონტი:
ფრონტების სინითლემ ქვეყანა შედება.
ომს მკაცრს და საზიზლარს ბოლო არ ელება.
ვინ ნაღვლობს მუშისა და გლეხის რუს შინელს!
რომელი იყენებს სისხლისღვრას საშინელს?
– იყენებს ამ ბრძოლას ბურუუა ჯალათი,
ჩვენ კი ვართ ამ ომში ჩაბმული ძალათი!
რა ვიცი – თხრილიდან ვინ დავჭერ, ვინ მოვკალ?!
ჩემივე კლასის წინ რად მინდა ვინტოვკა?
– მოვა დრო – იმ ტყვიას ირგუნებს ჯალათი,
რომელმაც ამ ომში ჩაგვაბა ძალათი!
ჩემი და მონაა, ის ქუჩის ქალია,
დედ-მამა სადღაა? შიმშილმა დალია!
– ეს არის გაყიდვა, ეს არის ლალატი,
რომელმაც ამ ომში ჩაგვაბა ძალათი!

მოდისო ლენინი – ამბობენ – ლიდერი
პარტიის, რომელსაც არ უყვარს მდიდარი,
მდიდარი – რომელსაც სძულს მუშის ხალათი;
მუსრი მტერს, ომში რომ ჩაგვაბა ძალათი!
– ამდენი ჩაგვრა და მონობა გვეყოფა, –
საუბრობს ღარიბი გლეხობა.

სოფელს გულმა ღარიბის ირგვლივ ბევრი უარა,
ყველას ვეკითხებოდი: „საშველა თუ არა?“
– გვეშველება, – მცინოდენ, – როცა დაგძლევს შეგნება!
და სიცოცხლეს არაფრის ხალისი არ ექნება!
სოფლად, სადაც თარეშობს ათასი მატყუარა,
მეც შენებრ ვკითხულობდი: „გვეშველება თუ არა?“
– რა შველას მოელიო გამვლელ-გამომვლელიდან,
თუ რამ მემამულებს არ წაართვი ხელიდან?
ბევრმაც ჩემი წუხილი ასე გაიზიარა:
– შეიძლება გეშველოს, მაგრამ მალე კი არა!
გზით წამოველ ღარიბი, გარს მინდვრები უხვია –
გულმა, კარგა ხანია, იმ გზებს გადაუხვია:
არ მსურს სხვის სატიელო ნახნავი და ნათესი...
მივალ, სადაც ხრამია ბნელი, უწყვდიადესი...
მარჯვნივ კლდეა საზარი, მარცხნივ ტყის ლერებია,
ციხე უზარმაზარი ლაჟვარდს შესჩერებია.
უვლი ამ მიდამოებს, ურუოლამ ტანს დაუარა,
როცა კვლავ გავიფიქრე: „გვეშველება თუ არა?“
ამ დროს რაღაც ხმაურმა სმენას შორით უწია.
– რა, რა მოხდა? – ვკითხულობ. მითხრეს: – რევოლუცია!
მაგრამ რევოლუცია იგი სხვისთვის გამოდგა:
შესდგა მავნე მთავრობა, როცა მეფე ჩამოდგა.
არც ზავია, არც პური და არც თავისუფლება,
ისევ ბურჟუაზიას დარჩა ხელისუფლება.
კარგი დაპირებები იქნა მხოლოდ უარად...
„გვეშველება თუ არა?“
„გვეშველება თუ არა?“
უფრო დიდმა ხმაურმა
სმენას ახლო უწია.

– რას ელით, ქალაქებო?
– ნამდვილ რევოლუციას!
მოგვცეს ზავი და პური
და კაცური უფლება,
შრომის უფლებებისთვის
ერქვას ხელისუფლება!
და გლეხობა: – ეს ხსნაა
ტიტველის და შიშველია!
ის გვიშველის ღარიბებს, –
სხვა ვერავინ გვიშველია!

ამგვარად –
ომით გაპარტახებული,
ალარ მქონე თმენის,
მრავალმილიონიანი
მასასა უცდის ლენინს!
წითელ დროშის ქვეშ
საომრად მდგარი,
მომსწრე მრავალის დღეების ბნელის,
ფაბრიკათ რიგი, ქარხნების ჯარი –
უცდიან ლენინს.
მილიონბით – დამშეულ რიგებს
ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ,
არ მოელიან არვისგან შველას –
ლენინს უცდიან.
რასა ჰყავს ყანა და ფარეხები!
რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი?
ლარიბ-ლატაკი სოფლის გლეხები
უცდიან ლენინს.
ფრონტიც მზად არის,
შეატრიალოს ტყვია სიზუსტით
კლასიურ მტერზე იერიშისთვის –
ჩვენ ლენინს უცდით.
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,
ბარიკადები ქუჩების ვრცელის

ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან
უცდიან ლენინს.

ლენინი მოდის!
პროლეტარიატს ექნება გეზი,
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის –
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა
და სასახლეთა გოდება მოდის!
ლენინი მოდის!
მოდის სიკვდილი ბურუუაზიულ
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!
ლენინი მოდის!
თავისუფლება და ზავი მოდის!
ამხანაგებო, ლენინი მოდის!
ლენინი მოდის.
წინ, ამხანაგო, ჯერარნახული
ცეცხლის დანთება გვაქვს განზრახული.
წინ! გადაუდექ ბურუუებს თოფით,
არ დაგავიწყდეს: ამ ნებისყოფით
სამუმებს შევექმნით ჯერ არ გაგონილს.
გასწი – იდეას მიჰყევი გმირულს!
გადააბიჯე მტერს გულგანგმირულს!
გადააბიჯე მოკლულ ამხანაგს!
ბრძოლა სიმწვავეს აღწევს უაღრესს...
ჩვენს მაღალ დროშას ვერავინ დახრის –
იგი მოუძღვის ოქტომბრის ხანას,
დაღლილო მხარევ,
ჩვენ გავიმარჯვებთ, აბა, შეხედე –
როცა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე
გამლილ ოქტომბერს შევსძახებთ: ვაშას!
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!
გადმოანგრიე ძველი ლოდები
ნიადაგარი!

ახალს ააგებს მშრომელებისთვის
მკლავი მაგარი...
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!
მშრომელი კლასი ლენინის დროშით
მთელ მსოფლიოში,
მთელ მსოფლიოში დაირაზმება
ლენინის დროშით.
ყოველი ქვეყნის პროლეტარების
გული აქ არი!
მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეთ,
ჰეი, დაჰკარი!
ყოველ კუთხეში, ყოველ მხარეში
და ყოველ დროში
განმტკიცდეს ძალა მუშის და გლეხის
ლენინის დროშით.
კომუნა იყოს ამ ოქტომბერის
ნაამაგარი –
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!

არ დახვედრია ოქტომბერს
არც ოქტო, არც განძეული,
დახვდა ოქტომბერს ქვეყანა
ცივი, პარტახი, ნგრეული.
არ ჰქონდა რამე საზღვარი
შიმშილს და გამათხოვრებას,
ამიტომ შრომა მიეცეს
შენებას, ცოცხალ ცხოვრებას.
კილოვატებში გაემვათ
მილიონთ მძლეთამძლეობა,
ეხლა ჩვენ უნდა ვიკისროთ
ეს დიდი მოვალეობა.
ხე-ტყე, თლილი ქვა, აგური
ცემენტში, კირში ეფლობა.
ქვეყანას უუდიდესი
მოედო აღმშენებლობა.

ახალი ხუროთმოძღვარი
დასძლევს ხე-ტყეს და ხარაჩოს,
რომ ქალაქისას მისწვდეს ხმას
და სოფელს დაუდარაჯოს.
კარგია შრომით ნთებული
ქურების ცეცხლთან სახება
და შემდეგ გამარჯვებული
სიმღერის შემოძახება!
არის საბჭოთა მახვილი –
ნებისყოფა და ძალ-ღონე,
ბევრი ქარიშხლის მნახველი,
ბევრი გრიგალის გამგონე.
იმისი ომი ამჟამად
ქვეყნის აღდგენის ომია,
საკეთებელი ბევრია
და ხმა გაისმის: აკეთე!
მანქანებს რომ ეფერება
შრომის გუგუნი ზვიადი,
ეს არის ბედნიერება,
განუსაზღვრელი, დიადი.
თუ როგორც ტოტი ქარისა
მიღელავს შრომის დროება,
იმისი შესადარისი
ჯილდო არ მოიპოება.

სოფელშიაც ვთესოთ
გაზაფხულის თესლი!
დე, ბობოლას ჰკლავდეს
სიყვითლე და გესლი,
დარჩეს ოხრად ყანა,
ერგოს ხრამი ეზოთ,
ჩვენ კი თავდადებით
ვთესოთ, ვთესოთ, ვთესოთ.
წინსვლა როდი ხდება
ხელალების წესით, –
საქმე საქმეს აგავს
მხოლოდ ერთგულ თესვით.

არც მანქანა მოდის
მისით, უმიზეზოთ,
უნდა დროზე მოვხნათ,
უნდა დროზე ვთესოთ.
ხედავ, მატარებელს, –
აღმართს როგორ უხვევს,
შორი ქალაქიდან
ესალმება მუხებს,
ლეჩაქივით ბოლი
ბუჩქს ედება ლურჯად...
საიდან სად მოდის
ასე მძლედ და ურჩად?
მატარებელს მოაქვს
იარალთა ჯარი,
არ აშინებს სიცხე,
არც წვიმა და ქარი.
მოიფინა მხარე
რკინისგზების ქსელით,
ქალაქის და სოფლის
შეერთებას ველით.
ორთქლმავალი მოდის,
როგორც ჩვენი გული,
იგიც ბევრჯერ იყო
ტყვიით დაცხრილული.
შიმშილი და ტიფი
მასაც გადაჰქონდა,
მიდიოდა, სანამ
ცოტა ძალა ჰქონდა.
ვის არ სჭირდა ჩვენი
ორთქლმავალის უინი,
სცემდა ინტერვენტი,
ხვრეტდა დენიკინი.
ოო, საზიზლარო,
როგორ მწარედ კბენდი!
მოვსპეთ თეთრი ძალა,
მოვსპეთ ინტერვენტი!
დაგვრჩა ორთქლმავლები,

როგორც ჩვენი გული –
გამხეცებულ მტრების
ტყვიით დაცხრილული.
გაჩერებულ ტრანსპორტს
ალარ ჰქონდა ღონე,
როგორც ქადალდის ფულს,
ფასდაკარგულ ბონებს.
მატარებელს ჩიხით
ვინ დასძრავდა, სანამ
მოაღწევდა ჩვენი
ალდგენისა ხანა.
მხოლოდ ოცდახუთში –
ვით შეგწევდა ღონე –
ალვადგინეთ ომის
წინა დროის დონე.
მატარებელს დაჭრილს
მოეხვია ჯარი,
განუკურნეს
წყლული მრავალგვარი.
ანი მოდის, მოაქვს
მას სალამი ძმური,
მოაქვს ჩვენთან რკინა,
მოაქვს ჩვენთან პური.

როგორც ხის რტოებს
აპრილის დღემდე
ჩამოშორდება თოვლი და ყინვა –
ქვეყნის ხელახლა
ალდგენის შემდეგ
სხვა ლოზუნგების გაისმა გრგვინვა...
ახალ ცხოვრებას
ვაწყობდით ახლად
და ეს დაწყება თუმც იყო ძნელი,
ქარხნებში ისევ იქუხა ხალხმა,
რომ ეს ბრძოლაა უკანასკნელი!
მხარეს უცებ ვერ
გადააკეთებს

სხვა ვერრა ძალა, ვერარა ნიჭი, –
ცვლის ფაბრიკებს და მიწის ნაკვეთებს
რევოლუციის
მტკიცე ნაბიჯი...

ძველებურად ქარს არ ატანს
არვინ თავის შრომას,
რკინასა ჭედს, თუ თხრის მადანს,
არ ივიწყებს, რომ მას
ურჩევს კლასი გაფრთხილებით
მანქანასთან დგომას,
ხელი უწყოს ხარისხების
გადიდების ზომას.
აფრიალდეს დროშა მშვენი,
ძირს ჯვარი და ხატი,
სხვა კულტურას ითხოვს ჩვენი
პროლეტარიატი.
აი, ჩვენი მინდორ-ველი,
იქ ალარ სჩანს მრავალი
ფეოდალი ძველისძველი,
მეფეთ შთამომავალი!
და გაისმის შორით-შორი
იდუმალი ქუხილი.
მოსდებია ველს ტრაქტორი,
არის შრომის დუღილი!..
მორჩა ოთხნლედში გიგანტის მსგავსი
ჩვენი ხუთწლედი,
ეს არის ჩვენი და მთელი ქვეყნის
მშრომელი კლასის იმედი, ბედი.
ხუთწლედი იყო ბურუუაზიულ
ქვეყნებისათვის რისხვა და მეხი!
თავგანწირულად იბრძოდა მისთვის
საბჭოთა ქვეყნის მუშა და გლეხი!
სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა, –
აი, რა იყო ხუთწლედის ხაზი.
ამ გენერალურ ხაზზე იბრძოდა
პარტია მტკიცე და ბუმბერაზი.

„ჯერ დავენიოთ, მერე გავუსწროთ“,
ძველი ევროპა მუდამ მტერია...
ხუთწლედის ფრონტზე თავდადებულად
იბრძოდა ჩვენი ინჟენერია!
აგრონომები, ტრაქტორისტები,
კოლმეურნეთა მაგარი რაზმი
და დამკვრელების გასმოდა ხმა,
როგორც მეუხარე ენტუზიაზმი.

ხუთწლედის ფრონტზე იდგა არმია,
ის დარაჯობდა სწორუპოვარი,
რომ გაზრდილიყო ჩვენი ოქტომბრის
რევოლუციის მონაპოვარი.
ნამგალს და უროს ფოლადის თუთქვა,
ცემენტის, თუჯის და ქვანახშირის,
ხუთწლედისათვის მედგრად იბრძოდა
კომკავშირი.

ჩვენი ერთგული მასწავლებელი
იყო მანქანა და მისი ტემპი,
ჩვენი ფაბრიკა, ჩვენი ქარხნები,
ჩვენი ეპოქის მონუმენტები.
ჩვენი შრომის და ბრძოლის გმირებმა
ახალ ცხოვრებას ახადეს ფარდა;
არცერთს პროლეტარს არ აქვს სამშობლო
სოციალისტურ სამშობლოს გარდა.
ჩვენ მოვეშველეთ ქვეყანას ნაირს,
ტრანსფორმატორის მაღალი დენით
გზა, გზა მიეცით ელექტროპაერს
მილიონიან ძარღვის ანტენით.
ლიდერმა დასვა საკითხი. „ვინ ვის?“
ხუთწლედში მისი პასუხი იყო
მრავალრიცხოვან მოტორთა გრგვინვის.

აი, დასრულდა სოციალისტურ
ახალი ქვეყნის ფუძის აგება,
კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ დროს

შიმშილია და გაღატაკება.
მაგრამ როცა იქ მწვავე კრიზისი
ბორკილებში მყოფ მშრომელთ მუსრს ავლებს,
გემიდან ტვირთებს უშვებენ ზღვაში
და ანუხებენ ხორბლით ორთქლმავლებს.
ბაქოს მუშების ნავთის ხუთწლედის
იყო პირველი აქანება.
მოყვა ტრაქტორის, ავტომობილის
და კომბაინის ახმოვანება.
ხუთწლედის ერთი დიდი მილწევა
რასაც კბილლრჭენით ისმენს ევროპა;
უმაგალითო მათთვის ამბავი –
რომ ჩვენ არა გვაქვს უმუშევრობა.
ლიდერმა დასვა საკითხი „ვინ-ვის“?
ხუთწლედში მისი პასუხი იყო
მრავალრიცხოვან მოტორთა გრგვინვა –
აგუგუნდნენ – ჰიდროსადგურები,
აგუგუნდნენ – მაგნიტოსტროები,
აგუგუნდნენ – ავტოქარხნები,
აგუგუნდნენ – ქიმიური კომბინატები,
აგუგუნდნენ – სამანქანო სადგურები.
აგუგუნდა მრავალი ორთქლმავალი,
და ჩვენი ქვეყნის მთაში და ბარში
ეროვნებათა გაისმის მარში.

გამძაფრებული კლასობრივ ბრძოლით
ჩვენ დავამთავრებთ მეორე ხუთწლედს
სოციალისტურ გარდაქმნის საქმის,
კოლმეურნეთა საქმის საფუძველს.
ძირს, ძირს დამპალი ლიბერალიზმი,
შემრიგებელი ძირს ყოველგვარი
მემარჯვენეთა თვითმდინარება,
„მემარცხენეთა“ ფრაზების ქარი.
აქ იბრძვის მხოლოდ ორი სისტემა,
მაგრამ პირველი მეორესა სცვლის,
არ არის სხვა გზა არავითარი,
სოციალიზმი სძლევს კაპიტალიზმს.

ყველამ შეტევა და შეძახება
ერთ მეექვსედის ხმალთან ალესოს,
რომ ოქტომბერი დაეჯახება
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.
სისხლისფერია
ჩვენი დროშა და ბრძოლის მოტივი
ოქტომბერია –
ისტორიის ლოკომოტივი.
ეხლა კი გადვეშვათ, გადვეშვათ მეხივით,
გვერიდე მსოფლიო კამარა...
ჩვენ – მანდაც ვიქწებით მუშების, გლეხების,
ლარიბი გლეხების ამარა.
ბრძოლა არ გვექნება კეთილი,
რის ლხენა, ან რა დროს დარღია,
ჩვენ, როგორც ქვითკირის კედელი,
მიგვიძლვის ლენინის პარტია!
ოქტომბერს მოჰყვება სამკალი,
რომელიც მოიტანს სიხარულს.

[1931-32]

ოქტომბერის გამარჯვებისთვის

ცხრაას ჩვიდმეტში ოქტომბერის გამარჯვებისთვის
ბარიკადებზე დაცემულ გმირებს
ოდეს ვიგონებთ, არ გვიმონებს ვაება. რისთვის
ერთი ჩვენგანიც კი არ იტირებს?

– ისინი ხალხის უფლებისთვის ბრძოლაში მოკვდნენ,
გზა გაუკაფეს შრომის სუფევას,
აზრი სიმართლის, სიდიადის იცოდნენ, გრძნობდნენ,
თავი შესწირეს თავისუფლებას.

აი, რად არის, რომ გმირთ ხსენებით
არც ერთ ჩვენგანის კვნესა არ ისმის,
მათი ძეგლია სხვა გათენებით –
ანთებული დღე სოციალიზმის!

სადარაჯოზე, მათ შემცვლელად, ახალ წყობაში,
ოქტომბრის შემდეგ ურყევად მდგარი,
ოთხი მძაფრი წლის, ომების ხნის განმავლობაში
მედგრად იბრძოდა წითელი ჯარი.

რა დენიკინი, რა კოლჩაკი და რა ვრანგელი,
რა ინტერვენტი ცეცხლით და რბევით
არ წამოსულა წინააღმდეგ. ო, სივერაგე!
მათთან ბრძოლაში დაეცა ბევრი!

მაგრამ იმ მძლეველ გმირთა ხსენებით
არც ერთ ჩვენგანის კვნესა არ ისმის,
მათი ძეგლია სხვა გათენებით –
ანთებული დღე სოციალიზმის!

[1931-1932]

პრესა

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!
ზაჰესი ლამეს ელვარედ ლესავს.
ვარსკვლავებს სძინავთ,
გრიგალსაც სძინავს,
მთებს სძინავთ,
მაგრამ არ სძინავს პრესას.
მანქანასთან ვსწერ.
ლამეა. ზრუნვას
ერთი ლაქაც არ ამეასედებს,
რატაციონის მანქანა ბრუნავს
და ხვალისათვის რაზმავს გაზეთებს.
მწყობრი მანქანა
გრგვინვას მოიღებს,
თითქმ ბრძოლის დროს ჭექდეს მხედარი,
თუ ცოცხალი ხარ – ხმა ამოიღე,
სამარეს მიდი, თუ ხარ ცხედარი!
ვით ჩქერი მდორეს
სჭრის და ერევა,
მორევს ლამისას სძრავს ეს ჭენება,
ასე შეხვდება ერთმანეთს ნგრევა –
ძველის ნგრევა და ახლის შენება.
პრესა აქ უდრის
მერანზე უმალს...
პრესასთან ვცხოვრობთ, პრესასთან ვყივით...
ძველი ცხოვრების ყოველ სასთუმალს
პრესა აღვიძებს ახალი სხივით.
ყოველი სოფლის მინას და ტატნობს
გამოფხიზლება უნდა ახაროს
ტემპი! – მოესმის ქარხნებს და მაღნებს,
ტემპი! – მოესმის ტყეს და მაღაროს.
ველებზე მისით
ღელავს თივები,
მანქანა მიაქვს სახლის ოდენა.
ტემპი! – მიჰყვირის კოლექტივები,
ტემპი! – ძაგძაგებს ელექტროდენა.

აქ წყალვარდნილი
აგავს ნიაგარს,
იქ მძიმედ მიდის ალაზნის არხი,
ეძლევა ბუჩქებს მტკიცეს და მაგარს
ელექტროძძარლვი, სიცოცხლის ძარღვი.
განა ჯერ ისევ
ათი წლის წინად,
როს პირზე ეკრათ მარქსი, ბებელი,
ბურუუაზის პრესა და ბინა
არ ჰქონდათ ჩვენში ხელუხლებელი?
ხელუხლებელი
არ იყო განა
ველად ნაშთები ფეოდალობის?
მემამულებს ეჭირათ ყანა –
ნიშანი ძველთა მეფეთ წყალობის.
მდიდრებს უმღერდა
პრესა, პოეტიც,
როს საქართველოს – გზად გასადები, –
ვით კალონიას სწვდენ უცხოეთის
ბურუუაზის ავაზაკები.
ელვის სისწრაფით,
ვით კინო-ლენტი,
წინანდელ პრესის გაიჭრენ დღენი.
პრესა, შენ ვითომ სინათლეს ჰვენდი,
მაგრამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?
ანთებდა ხმლის და
დანების წვერი
გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,
ჩამოძონძილი, ავი, მშიერი
ხმა აყრუებდა მიდამო-შარას:
დაჰკარი, დაჰკარ!
ის ქართველია,
ეს სომეხია, ის თათარია.
იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია.
რა ვქნათ? სხვა რჯულის ბინადარია.
რა ხანა იყო!
ძმამ ძმა არ ინდო,

მინის გაჰქონდა პრესას ზანზარი,
როს შოვინიზმის ცეცხლი დაინთო
და ეროვნული შუღლის ხანძარი.
პრესა მდიდრების
იყო მორჩილი,
სისხლში სცურავდა ქუჩა ნაგები...
ვინ ეცემოდა ყელგამოჭრილი?
მხოლოდ დარიბი და ლატაკები!
და შერცხვენილი
გზის მენამულის
იბრძოდა პრესა გაუტეხელი,
რომ მეფაბრიკეს და მემამულეს
მარადის სავსე დგმოდათ ბელელი.
ისევე მდიდრებს
და მხოლოდ მდიდრებს
თვით პოეზიის ართობდა ჩანგი,
აქ კი მონობა მშრომელთ აფითრებს
და დიად მიზნებს ედება უანგი.
აივსო ციხე
კომუნარებით,
იწვის სოფელი აჯანყებული:
აქ აზისკენ გაჭრილ კარებით
ორი გზა იყო დაჯახებული.
ნამდვილ პრესას კი
ედო ბორკილი.
ისე გადახდა მტერს ერთი ასად,
როგორც დაღლილი და დაჯორგილი
იხუთებოდა პრესასთან მასსა.
ტალღები მისი არა სცხრებოდა,
დინამიტები ხან იქ და ხან აქ
იმუქრებოდა, ემზადებოდა,
მოუწოდებდა მებრძოლს, ამხანაგს.
ბოლოს მრისხანე
მზემ ამოხეთქა
და გადაღეკა
მძიმე სურათი.
ახალმა ძარღვმა დაიწყო ფეთქვა:

რევოლუციონურათ.
რევოლუციონურ
პრესამაც აგრე
მძლავრად შემოჰკრა და მტვრად აქცია
მლიქენელი პრესის ციხე-სიმაგრე,
შავი ცხოვრება და რეაქცია.
ეს იყო თვალის
დახამხამება –
მომენტი რისხვის და წყევლა-კრულვის,
როცა უფსერულში მიდის წამება
და აუწერელს იწვევს სიძულვილს.
ის საქართველო
გაჰქირ მონების,
გზა მისდევს მთაში კლდეებს ფრიალოს,
რომ იქ სიმართლის გაბატონების
წითელი დროშა ააფრიალოს.
მიწა სახალხო
არის ქონება,
სასახლეებიც მისია სერზე.
ერთ ერს ნურასდროს ნუ ეგონება,
რომ გაბატონდეს მეორე ერზე.
სჭედს პრესა კედლებს,
სვეტებს და თაღებს,
მას მოაქვს რკინა, ფოლადი, კირი, –
დღეებს სიახლით აიარაღებს,
როგორც დამკვრელი და შრომის გმირი.
ეხლა ვერავინ
გაანადგურებს
საქართველოში დარის-დარებას,
ფერო-მარგანეცს და ელსადგურებს,
მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.
ღიაა შუბლი,
ღიაა მკერდი,
რომელს აჩნია ბევრი ჭრილობა,
მრავალთმრავალი ჰქუსს, როგორც ერთი:
მარჯვედ, პირდაპირ! ძირს გულგრილობა!
ჩვენი პრესა სდგას

ხელალმართული
თავის უსივრცოდ დიდ ასპარეზზე,
უზარმაზარი ააქვს სართული
ინდუსტრიალურ ხე-ტყეის არეზე.
მძიმე ბორბლებს რომ
აბრუნებს ღვედი,
მსოფლიოს უნდა გაჰედეს მფლობელი.
მისით მეტყველებს მშრომელთა ბედი,
მისი ქალაქი, მისი სოფელი.
არის სიახლე,
და მოძრაობა
აპობდეს გრიგალს, კლდესა და ღრესა,
პრესას არ უყვარს ტბა და ჭაობი,
მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა.
შრომა ამ ჭაობს
არღვევს მოსილულს,
გზა ეხლა ლაფში ალარ ეფლობა,
პრესა აშუქებს დიდს, ძლევამოსილს
სოციალისტურ აღმშენებლობას.
[პარიტასა და გუმბრს
მიწა ფარავდა,
მიწაზე იდგა ტაძარი, მესსა.]
ეხლა ყოველგან, ყოველ კარავთან,
ყოველ დაზგასთან მივიდა პრესა.
ექებს მინერალს
საგაზაფხულოს,
უკან დახევა მას არ სჩვევია.
გამადიდებელ შუქით ნახულობს
მასაც, რაც ძნელი შესამჩნევია.

[1931-1932]

ეროვნებათა გარში

ჩვენ ერთი ვართ, თუმც სხვადასხვა
გვქვია სახელი,
ჩვენ ერთი ვართ, ქართველი თუ
ყარაბახელი.
სოლიდარულ დროშის ქვეშ სდგას
ბევრის ამტანი
ადერბაიჯან,
საქართველო,
ჰაიასტანი!
პაპის-პაპას ძველისძველი
ჰქონდა გაგება:
შეტაკება, შურისგების
პაპანაქება;
მოანათა ოქტომბერშა
მზიანი მიზნით,
შოვინიზმი გადალახა
რა ლენინიზმით.
გადალეკა სისხლიანი
ლობე-მესერი –
ძველ რუსეთის ნაცვლად ბრწყინავს
რესეფესერი.
ჩვენს კავშირში სხვაგვარია
ომის ბაცილა,
რაც ევროპამ თავის ქვეყნებს
ვერ მოაცილა.
იქ ყოველი ცის ნაფლეთი
ტყვიის ფერია,
ცხენოსანთა ბორგავს ჯარი,
არტილერია;
აქ აფუძნებს სოციალიზმს
საქმე სართველო,
ტაჯიკია, თურქენია
თუ საქართველო.
იქ გაზების ეშვებიან
შავი შვავები,
ყუმბარებით დატვირთულან

თვითმფრინავები.
ნაღმების ხმამ ზღვად გემები
არივ-დარია,
მაგრამ თუ იქ დარბეული
ციციკარია,
აქ მეორე ხუთწლედი დგას
და ჭარბი ჯარი,
უკრაინა, საქართველო,
ადერბაიჯანი.
იქ რომელი რომელსა სძლევს –
ცხადზე ცხადია:
კლასიური ომების გზა
გზად ნაცადია.
იარალით შებრუნდება
მტრების ჯიგარი,
რომ აენთოს ცისკარივით
ის ციციკარი.
აი, რა დროს ნატრობენ დღეს
ველნი და მთანი,
ბელორუსია, უკრაინა,
უზბეკისტანი.
სოლიდარულ წინმსვლელობის
საქმე რითია
უძლეველი? ამის მტკიცე
მაგალითია –
ეს ამიერკავკასია
ძმური, გამტანი,
ადერბაიჯან, საქართველო,
ჰაიასტანი.
ვაშა, დიად სოციალიზმს,
აქ რომ შენდება!
გვჯერა: ძლიერ კომუნიზმის
დღე გათენდება!
ერთი დიდი იდეაა
შვების მომბერი,
მთელ მსოფლიოს – რომ მსოფლიო
სძლევს ოქტომბერი!!!

0421

რწმენით იარ, იარ, იარ,
მტკიცე გქონდეს ბიჯი!
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.
ასე იყო და ასეა
ბრძოლა ჩვენი მიწის,
რწმენა ბევრად ძვირფასია:
მან გატანა იცის.
ურყეველი რწმენის მტერი
გზას ვერა-რით აგნებს,
როს სხვადასხვა გზით უცქერის
ათასნაირ საგნებს.
საგანიც ფერს მისთვის ხშირად
იცვლის იმის გვარად,
როგორ ხედავ, რანაირად,
რომელ მხრიდან და რად.
განა ვისმე ვიყავ მონა,
როცა მდევდა ზრახვა
და მრავალი დღეთა კონა
ძლიერ ღელვას გაჰყვა?!
არა მონა! ო, პირიქით,
თავისუფალ ამბით
ოქროსა ვსჭრი, როგორც ვსჭრიდი,
საკუთარი შტამპით.
მაგრამ გრძნობათ სიმაისევ,
ფიქრო ნათელ ფრენის,
თუ მონა ხარ, მონა ისევ
საკუთარი რწმენის.
რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი!
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.
ერთხელ, ლამით, ცეცხლის ალზე
მივდიოდით ტოლნი,

მივდიოდით და ჰა, თვალწინ
აღიმართა სმოლნი!
სმოლნი, სმოლნი! იქ იმ დროის
მახვილი და ბრძმედი
ჰქუხდა, რწმენით, მსოფლიოს
ერთი მეექვსედი.
ის, ტიტანი, ვინ სოქვა სახლად,
მრავალ ღამენათევს
სწევს იდეა მაღლა-მაღლა,
ზრუნვა ტვირთად ადევს...
და როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევლის,
გუშაგის ხმას: – თქვენ ვის ეძებთ?
ვუპასუხე: – ლენინ!

[1932]

სადაც ეხლა ზვირთებს სძინავთ

სადაც ეხლა ზვირთი ბზინავს,
ქარის ისმის ქშენა,
გადასული წლების წინათ
ვქროდით მე და შენა.

ეხლაც აქ ვარ, ძველისძველო,
მდგარო დროთა ზემო,
საყვარელზე საყვარელო
მოგონებავ ჩემო.

სადაც ეხლა ზვირთებს სძინავთ,
ბალს სდევს ქარვის ფერი,
თვალწინ მიდგას, როგორც წინათ,
მშვენიერი მერი.

[1932]

მავლელების პაჭე

შეწუხდა და თქვა:
რაა ამაში?
ერთი ბნელი დგას,
როგორც ნალველი.
რაც იქნეს, შევალ
ამ აკლდამაში,
ვერ წავალ მისი
მე უნახველი.

შევალო, ეს სთქვა
და შესავალი
შეალო კარი
მძლე განზრახვითა,
ერთი ბნელი სდგა,
რომ კაცის თვალი
პირველად ვერას
დაინახვიდა.

ის დღე და ღამე
იარა. გროვა
იფანტებოდა
ლანდთა სადარი,
ბევრი იარა
და ბოლოს ჰპოვა
მკვლელი, დიდი ხნით
აქ ბინადარი.

1932

* * *

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ უთხრა კი – ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

[1932]

მზეა ისე მგზვებარე

მზეა ისე მგზნებარე,
რომ ხანძარსაც დაყურავს,
ვხედავ: აგერ მღებარი
ლებავს სახლის სახურავს.

აქ სიმკვეთრე-სილბილის
ფერი ფერებს ეხება:
სახურავი პილპილის
ელვარებამ შეღება.

იგი მზეზე კრიალებს,
როგორც სისხლის იარა,
თითქო აქ მოთქრიალე
წვიმამ გადაიარა.

უელვარე იერით
მტრებსა და მუხანათებს –
შენი მოსვლა ძლიერი
წვრილმანშიაც ანათებს!

5 ოქტომბერი, 1933

ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?

- ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის,
რა სიბნელეში სდგას ცეცხლის სვეტი?
- ეს ამ გულიდან სიმღერა იძვრის
და თან მოჰყვება მას სისხლის წვეთი.

- ეს რა შავპნელი კვამლი მოედო,
რა ბურუსები მოაქვს რგოლებად?
- ეს შენს სიმღერას და სისხლს, პოეტო,
თან მოსდევს წყევლა და დაბრკოლება.

- ეს რა გრიგალმა დაიწყო ძრწოლა,
რა ურუანტელი წყვდიადს აწუხებს?
- ეს შენი ისმის სიმღერის ბრძოლა,
ბრძოლაზე ბრძოლით რომ უპასუხებს...

- ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ურიამულმა გადაიუღერა?
- ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა!

22 ოქტომბერი, 1933

აზრი გენიალური პარმონიისა

გრიგალში როგორ ჩამოენათა
მზეთ რტოვანება,
როგორ ავარდა ოკეანეთა
ახმოვანება,

როგორ აეშვა გიგანტური
ტალღების გამმა...
იმ საოცარის, იმ მაგიურის
მიმღერე რამე!

მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული
იძროდა მარად,
ერთ მთლიან ჰიმნად გადაქცეული,
ერთ მთლიან ქნარად,

ჰიმნად, რომელიც დღეს აღტაცებულ
ხმით იზეპირებს
იმ საარაკო ომში დაცემულ
და ცოცხალ გმირებს,

გმირებს, რომელთაც უკვდავ შინაარსს:
მსოფლიოს, მწვავეს
და გენიალურ ჰარმონიის აზრს
შესწირეს თავი.

და პოეზია არსებობს, ვიდრე,
დროთ გამგონეა:
ის ჰარმონია უნდა დამკვიდრდეს,
ის ჰარმონია!

და ჩემი ჩანგიც, ქარითა თუ მზით
რაც ემართება –
იმ ჰარმონიით მოელვარე გზით
მიემართება.

[1933]

პირველი მაისი

პირველი მაისი,
პირველი მაისი,
პირველი მაისი
მოვიდა ამაყი:
წითელი ყაყაჩო
თუ იასამანი,
ხავერდის ვარდები
და თეთრი ზამბახი.
მეფეს კი, მეფეს კი –
ქარით და გრიგალით,
თითქო არავისა
და არარაისი –
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ განევას,
იმ პირველ მაისებს!

[1933]

ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს

ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს,
მომავალს მზიანს, უსივრცოდ მზიანს!
სიმღერით ხმა სტეხს შუადღეს ტყიანს,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!
იმ ბრძოლის წლების ამბავს რომ ისმენ,
არ დაფიქრდები, მზადა ხარ მყისვე
მშენებლობაშიც შეიქრა ისე,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას.
ვის ესმის დროის ახალი ზრახვა,
ვინ იცის ქვეყნის მოვლა-შენახვა,
უცდენლად მტერზე მიიტანს ლახვარს,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!
ჩვენი არმიის ფოლადის რიგებს
მტერი ვერასდროს რომ ვერ ირიგებს,
მშრომელი კლასი იმგვარად იგებს,
როგორც ტყვიაში მოხვედრილ ტყვიას!
საგუშაგოა თუ ყაზარმაა,
ლექსთა სნაიპერთ იქ სდგას არმია
[და ისეთივე დღის მოწამეა,]
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!
სოციალისტურ მიზნებით მსვლელი
გამარჯვებათა ამბავი ვრცელი –
ხუთმეტი წელი, ხუთმეტი წელი,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!

[1933]

უმაღლეს მცვერალთა მსუბუქო ღრუჲალო

უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქო ღრუბელო!
შენ, როგორც კლდებზე მერანი უბელო,
მიგაფრენს მუსიკის მღელვარე ნაკადი,
ხევების ქარის ხმა, ნამქერთა ღალადი.
რა გრძნობა მომესმისა, რა ცეცხლი, რა ნიჭი!
ეს არის დღეს ჩემთვის ახალი ნაბიჯი.
ქარბუქი, ნიავი, ხანძარი თუ შუქი
უნდა შენ გბაძავდეს და იყოს მსუბუქი...

[1933]

* * *

უროებს, გრდემლებს
აქვთ დაგა-დუგი
და ალთა მერნებს
იჭერს აღვირი,
რომ შეაკავოს –
გაისმის ბუცი,
ლიტავრის ცეცხლში
ყვირის საყვირი.

ბლოკის ჭრიალი
ჭიანურს უტევს,
ხმა არის მკვეთრი,
ფერი – ვით ზანგი.
ყოველმხრივ ისმის
რკინის ძგრიალი
და ჰქონიავს, როგორც
ცეცხლების ჩანგი.

რა ორკესტრია,
რა სიმფონია,
რა შთაგონება,
რა ალმაფრენა!
გადავარდნილხარ,
ასე გგონია,
და არსად არის
ეს გაგონება!

აქ თვითეული
მღერის ხელსაწყო,
ერთის გუგუნთან
სცემს ბარაბანი
და ლელავს კვამლის
ამონალერის
ნაპერწკლიანი
ცხელი საბანი.

არ დაჩუმდება
გრძელი ფაგოტი,
არის ქუხილი,
ჭექა, გრიგალი,
შორეული ზღვის
მოისმის შფოთი,
ტყდება მიწები,
კლდე და ფიქალი;

ვერცხლის თითებად
ხმოვანებს ღვედი.
მუშათ მკერდები
დგანან მთაგორად:
მძიმე გრიგალში
ავსწიოთ ბედი –
ხმა ისმის: დავძრათ,
გადავაგოროთ!

როგორ ხმოვანებს
ტალღათა სვეტი –
ხან ბედნიერი,
ხან გულსაკოდი,
ომობს გობოი,
რეკავს კლარნეტი,
ოხრავს ფლეიტა,
გრგვინავს ფაგოტი.

ეს ხმაურია
დროს შესაფერი,
მსოფლიო ენა
აქ იბადება:
აქ ყოველივე
და ყველაფერი
ახალი დღისთვის
არის მზადება.

[1933-1934]

ლექსი დაცერილი ავადგყოფობის დროს

თუმც ცოცხალი ვარ,
არა მჯერა, რომ სული მედგას,
ჩემი ცოდვა მას,
ვინც მომიხმო ასეთი მტერი,
ბედითი მტერი,
ცუდი მტერი: სიკვდილის ნატვრა!
ექიმი, გული
ძველებურად თუმც ისევ ფეთქავს,
დაკარგული აქეს
ძველებური სიმრთელის ფერი,
ეს ყველამ იცის,
მაგრამ ამბობს: სიმღერით დათვრა!

ათასი ჭირი გავიარე,
ექიმი, ჩქარა!
უხარბო იყოს,
პირმართალი, მისანდობელი,
ოსტატი ჩქარი,
უნუკვარი და არა ზანტი
და უიმისო
თუ იქნება, მაშინ იარამ
დე, ძალლივით
დალრღნას ჩემი დღე და სოფელი,
უბრალო მუმლმა
ნააქციოს მუხა გიგანტი.

ო, ჩემი გული
იყო მტკიცე ციხე-ქალაქი,
ბუნება ტანის
იყო მისი მცველი ძლიერი.

ასაოხრებლად
მოდის მათზე ურიცხვი ჯარი.
მტერი – ეს არის
ათასგვარი ცხოვრების უანგი,
ნამალი ჩემი
ბუნებისა, წამალი მწველი
ცხარე ომის დღეს
სანდობარი არის აბჯარი.

ექიმი მინდა,
ვით მეაბჯრე და ამხანაგი,
რომ სიკვდილს ხელთვან
გამოსტაცოს პოეტის ჩანგი!

[1934]

გაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი

მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალთ-ახალი,
ლითონზე უფრო მაგარი,
პირამიდებზე მაღალი.

ხალხისთვის სამარადისო
ლიაა მისი კარები:
მე მის უსაზღვრო სიყვარულს
და ნდობას დავემყარები.

მასში პოეტის უკვდავი
დიდება დაისადგურებს,
ვერც დრო, ვერც უამთა სიავე,
ვერც ქარი გაანადგურებს.

1934

შეხედე!

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი
ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა.
ჩამავალ მზეთა უკანასკნელი
და სისხლიანი გზა ჩაიშალა.
ჩემი გულია: მშვენიერ მაისს
ხვეწნად მუხლებში რომ ვუვარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები.
რა არის ნეტა ქვეყნად მისთანა,
რომ გამიცივოს გული მისდამი,
მიჩვენოს სადმე აჭარისთანა
სხვა რომელიმე აჭარისტანი.
ახალგაზრდობის დღე, საიდანაც
ჩემგან პირველად ზღვაა ნახული,
მიჩვენეთ სადმე ზღვა ამისთანა,
ან მთები ზღვაზე გადასახული.
ჩაის მინდვრების თვალის გახელას
ეკუთვნის ჩემი ძახილი: ვაშა!
ჩემი კალამი, მზე, მაჭახელა,
ხასანბეგურა და ალიფაშა.

[1934]

* * *

საქართველოს კარებს გასცდა
წინათგრძნობა ბუმბერაზი,
როცა მხნე და ახალგაზრდა
მოდიოდა თქვენი რაზმი.

თითქო ცეცხლით დაეთუთქა
ლმობიერი გული ძმისა –
ათასი მთა წინ გადუდგა,
მთები კავკასიონისა.

გამოპრუნდით! რა უარეს
შარა-ხევს ხართ მიმავალი.
ერთი ბნელი ღამე არის,
რომ ვერა სჭრის კაცის თვალი.

ერთი მეფე დევიცა სდგას,
სამასი წლის დევი ქვია;
გელის ციხე, ან კატორდა,
ან ციმბირი, ანუ ტყვია.

თქვენ ამბობდით: „სისხლი არის
მისი ლხინი და შექცევა,
რადგან იცის, რომ მომავლის
სასტიკ მსჯავრს ვერ გაექცევა“.

და დადუმდა ათასი მთა,
მომლოდინე მზიან ჩრდილის,
როს ხელახლა გაისმა ხმა
უდიადეს ჯულაშვილის.

ურყევია თქვენი გული,
თქვენი მტკიცე სიარული,
წინ წაწევა და გუგუნი
ინტერნაციონალური!

1934

* * *

მისდევს რგოლს რგოლი. ასე: ტოლ-ტოლი
ცვივა ფოთოლი ჩვენი თაობის
სხვადასხვაგვარი, გზაა მდაგვარი
ამ მრავალგვარი სანახაობის.

ჩვენი თაობის გამბედაობას
სხვა მოძრაობის ედგა მოტორი.
ეპა! რადარა ქარში გვატარა
დიდი, პატარა, ტოლი და სწორი!

ნათელი სევდით ლექსებს ვუსმენდით,
სად მონუმენტი იდგა მთაწმინდის,
მიმყავდა გემი და ნუგეშმფენი
ხმა ჰქუხდა ჩემი ეფემერიდის.

სად მრავლობითი იდგა კოპიტი
უარყოფითი შრიალით სავსე –
ნარსული ტირის არაგვისპირის
და ჩემი გმირის თავგადასავალს.

გგონია იქნებ, გზას გავიგნებდით,
გზას გაიგნებდა წყვდიადში თვალი –
უკვდავი ლანდის კლდე რომ არ სჩანდეს,
რომელს მარადის ჰქვია სტალინი?

მის მეოხებით სხვა ამბოხების
ფარჩა-ნოხებით იცვლება თალხი –
ყოველი დროის და გარემოის
ჭეშმარიტ პოეტს გაიგებს ხალხი.

[1934, 1935]

ოცხება აჭარისწყალთან

ვერა, ვერ იგრძნო ძველმა ეშმაკმა,
ვერც ძველმა ღმერთმა, იმ ელვის ძალით
თუ რა სისწრაფეს გამოლმა-გალმა
ამოძრავებდა აჭარისწყალი.

ახმაურება მისი იმ ღამის
ათასი ქარის იყო ხმაური,
ძლიერი ქარი კოლხიდის შლამის,
მსუბუქი ქარი მახიჯაურის.

და აყრუებდა ტყეს ძალისძალად,
ვით უეცარი სიტკბო და ელდა,
მრგებელი ქარი ატეხილ ჭალათ
და მავნე ქარი ლაქაშის ველთა.

იყო თანაბარ აფრენა ქორის:
უახლოვდება კარებს თანდათან
გრიგალი ქარი ტრიალ სამგორის,
ალერსის ქარი ჩვენს ლაზიკადან.

თავაწყვეტილი ვეფხვი, რომელიც
ვერ იგრძნობს, რაა ჯაჭვი და რკალი,
ადიდებული, დაუდგრომელი
ეშურებოდა აჭარისწყალიც.

ხიდებს და სახლებს, მწყემსთა სადგურებს,
ტყეებს და ველებს, ადგილებს მზიანს
მდინარე ანგრევს და ანადგურებს,
ანგრევს ყველაფერს და მიაქვს, მიაქვს...

გამოწვეული დაბურულ ტყიდან
ინდუსტრიული ყიუინით, სტკენით,
ის უცებ შედგა... დასაბამიდან
პირველად შედგა ბრაზით და წყენით.

შეხედეთ მიმქროლს სხვა ბედის ეტლით!
რა დაბრკოლებას შეხვდება სამტროს!
შესაყენებლად ამართულ კედლით
სურს გადაეშვას და აი, ამ დროს –

თითქო ვიღაცას სურს, რომ გადუდვას
გიგანტიური ფოლადის ხმალი
და უგონობით ქანებაში ხმალს
ტანით შეაჭრას აჭარისწყალი...

შეხედეთ: სისხლი, წყლული, იარა
ჰაერში როგორ იშლება ალის,
მაგრამ ეს შუქი სისხლი კი არა –
ცისარტყელაა ჰიდროცენტრალის!

იგი აშუქებს ქარსა და ნიავს...
აჭარისწყალის ელვარე ბედი
მას შემდეგ მიდის, მიდის და მიაქვს
ახალი დროის შარავანდედი!

სხვაგვარ ვარდის და იის საკრეფად
გველიან წყალნი აჭარისანი,
გმირებს ეძახის თავშესაკრებად
სოციალისტურ დღეთა მიზანი!

[1934]

ახმაურდეს

ახმაურდეს, გრძნობით დუღდეს,
არ დაეტყოს ხნოვანება.
ძველებური ძალით ქუხდეს
ჩანგთა ჩვენთა ხმოვანება!

რა უნდა ხმას გაუბედავს,
სადაც ბევრის მზერა ტლანქი
სინათლესაც ბნელად ხედავს
და გონებას უხშობს ბანგი!

გამოფიტულს, აზრდაკარგულს
დღეს ზოგიერთს შერჩა ერთი
მისწრაფება და გულდაგულ
გატაცების ერთი წერტი:

ეს ამაო და მდაბალი
გატაცება იქ ბობოქრობს,
სადაც თვალი, ხარბი თვალი,
მოპრიალეს ხედავს ოქროს!

შენ კი ყოფნა გესმის ასე:
თუ გსურს გაიტანო ლელო,
უანგაროდ გვებაასე,
მეგობარო ძველისძველო!

ჩანგს სიმართლეს ათქმევინებ,
რომ სიმტკიცე ექნეს დიდი:
ვერც გზას გადაახვევინებ,
ვერც ოქროთი მოისყიდი!

[1931; 1935]

სიკვდილი უმუშევარისა

შენი ცხოვრება (არა სიმაღლე!),
რომელიც ჰქვდება ცივი, ბებერი.
მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი,
არც კარებია შესაღებელი.

შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის,
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის.

შენი ცხოვრება ღონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა,
ვერ შეგაშინებს თვითონ სიკვდილი,
გრძნობ, არვინ მოვა შენთან მის გარდა.

სადმე ვერაგი გადიხარხარებს,
როცა გაიგებს სიკვდილის ხველას.
შენი სიკვდილი იმას ახარებს –
როგორც ცხოვრება ახარებს ყველას!

ამის მნახველი – ვით არ ვიქნებით
უკმაყოფილო – შექმნილი წესით?
წავალთ დროშებით, წავალთ წიგნებით,
წავალთ მქუხარე ჩვენი კონგრესით!

[1931, 1935]

3 ქოდოთ მედგრად

რომ გავკაფოთ ბნელი მკვეთრად
და გავსწიოთ წინდაწინა –
ვანთოთ ქურა, ვჭედოთ მედგრად,
სანამ ცხელი არის რკინა.

უნდა ვძლიოთ ეს სიბნელე
და მოთმენა უხუცესი,
იგი მეფე, მემამულე,
ის ბანკირი და ხუცესი.

[1931-1935]

დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი

დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი
უმხურვალესი გრძნობით და რჩმენით –
ეს მხედარია, რომელიც მიჰქრის,
რომელიც მიჰქრის ფოლადის ცხენით!

იგი რეკვაა ელექტროდენით
გავარვარებულ ცეცხლ-მდინარეზე,
გახმაურება, როს შორეულ ძმებს
ეძახის მოძმე უწინარესი.

ის ხომ გულია! ხომ უხარია,
რომ დროშა მისი ალის ფერია –
იგი ქვევითით მსვლელი ჯარია
და მოგრიალე არტილერია.

ის ჩვენი სოფლის არის ამინდი,
ჩვენი ქალაქის არის სვე-ბედი –
რიგს შუაზე ჰკვეთს, ვით დინამიტი
და აკავშირებს, როგორც ცემენტი.

როგორის ამბით დრო მიგვაქანებს,
რა საამაყო ამბებს ვესწრებით!
ცა დაუფარავთ აეროპლანებს
და მოედნები ჰქუეს ორკესტრებით.

ყოველი წამი გულგაშლილობის
ბრძოლის ალებში არის ნალესი
და ამიტომაც დიად ყრილობას –
ჩვენი სალამი უმხურვალესი!..

9 იანვარი. 1935

ԱՍՅԱՌԱԴԻ

արուս ցիծայզարեգոնո,
արուս ցիծա ռյերո-ցյերո,
սագ երտմանետս եզդեծուն
մյուրմե դա թոցյերո.

դա երտմանետս լոմոլոտ
ցածեցացեն ցան-ցանա
յելոա Շեմգացունուլո
շորմո դա մանյանա.

մուշկրուս ազգոմոծուլո,
շորմեծս սնրացագ թորդեծա,
ժայռո, եանցաճասյուլո
ցիծ առ ցանմեռդեծա.

[1935]

* * *

— ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი, —
ამბობდი შენა,
ვრცელ უდაბნოში, სადაც ქვიშის
ისმოდა ქშენა.
როგორ გვახსოვდეს? ავიხედეთ
ჩვენს სწორად, თითქო
ცაზე მსუბუქი,
მშვენიერი ღრუბელი იდგა.

— დავიმახსოვროთ ეს ადგილი, —
ამბობდი კიდევ,
როს შენს ბაგეებს ვერ მართმევდა
ცისფერი რიდე.
როგორ გვახსოვდეს? იმ ადგილას —
ჩვენს სწორად — ნელი
იგივ მსუბუქი, მშვენიერი
იდგა ღრუბელი.

ადგილს, დანიშნულს ასე ნათლად
და ასე ზუსტად,
ამაოდ ვეძებ... მახსოვრობა
შემექნა სუსტად,
თუ გადინაცვლა არე-მარემ?
გუშინ კი თითქო —
ცაზე, ჩვენს ზევით, ამ ადგილას
ღრუბელი იდგა.

მაგრამ ყოფნაზე ბევრმა ქარმა
გადაიარა,
გადაიტანა ბევრი დარდი,
ბევრი იარა
და ბევრი რამე, უდარდელად
მჭვრეტი ციდანა,
ღრუბელთან ერთად ამოებამ
თან წარიტანა!

დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ

ხმაურობს ქუჩა, გრიალებს ქუჩა,
ხმაურობს, როგორც თვითონ უორესი,
მზემ დაანათა, დასწვა, დარუჯა
უახლოესი და უშორესი.

ავტომობილის, ეტლის, ტრამვაის
აქ სვლა აღარ ცვლის ერთიმეორეს,
მშვენიერ მაისს, მომავალ მაისს
აწოდებს ხალხში მიმავალ უორესს.

ახალ სასახლის აღმავალ ხე-ტყეს
ზეცის დაპხარის ლურჯი კამარა,
ვინემ თოთხმეტში, უფრო ძლიერ – დღეს
რომ გაისმოდეს თამამი „არა“!

ხმაურობს ქუჩა, გრიალებს ქუჩა
და მიდის, როგორც თვითონ უორესი,
ყვავილებს ისვრის გზა მუჭა-მუჭა,
დღეს ულრუბლოა ცა უშორესი.

14. IV. 35.

* * *

ჩამავალი მზის ფერადო კიდევ,
ჩემს ხსოვნაში არ დაშლილხარ კიდევ.

თითქო იქ, შორს, სამი დღეა იწვის
მშვენიერი მწვერვალები წიწვის.

ვეკითხები ხეთა შენთა ფოთოლს:
რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს?

ეს უბადლო სალამოა მთაში,
მართლა ცეცხლი რომ დაინთოს, მაშინ?

ჩამავალ მზის ფერადების მორევს
იგი ცეცხლი შორით უამბორებს!

21. IV. 35.

სევილია

ელანდება სევილიის
შეღამება ჩქარი,
ძლივს ანათებს ქალაქს მთვარე,
გარედ გრგვინავს ქარი.

ბორგავს ბავშვი ავადმყოფი,
ღამის სწურავს ბნედა
და იდუმალ მწუხარებით
თავთან უზის დედა.

მაგრამ ეს ხომ სიზმარია
და სიზმარი ტკბილი,
უღვიძარი არის დედის
სამუდამო ძილი.

[აპრილი, 1935]

* * *

მეტყვი: როგორც ეს გრიგალი,
დამივიწყე მეცა.
გაიხსენე შენ დუნაის
მშვენიერი ზეცა.

მეტყვი: იგრძენ მუხის ურჯოლა
შორი მინდვრიდანა,
როგორ მიდის, როგორ მოდის,
როგორ ღელავს ყანა.

მაგრამ ეს ხომ სიზმარია,
აქ ვერ ვხედავ ბალახს.
ქვის სიმძიმე სამარედ ხდის
უზარმაზარ ქალაქს.

[აპრილი, 1935]

რეინი

შეღამებულ ურუანტელით
და კოშმარულ ძილით
ვერძლეული – კვლავ ამაყი
ყოფნას ვხვდები დილით.

არის მხოლოდ სინამდვილე
რომ არა ვარ ბავში,
რომ რეინიც მიდუდუნებს
გახვეული შავში.

[აპრილი, 1935]

ნეაპოლში

სიკვდილს მე როდი შევუშინდები,
იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა;
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის –
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.

აქ გაზაფხული არავის ჰკოცნის,
არც ეს მაისი, არც პოეზია.
მაშ, გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს,
სიცოცხლეზე რომ უტკბოესია!

30. IV. 35

30. IV. 1935

მხოლოდ მთა იგი... იდგა მთა იგი,
დემონის ხელით მძლავრად ნახატი.
იწვა კლდე კლდეზე, იდვა ქვა ქვაზე
და იყო მხოლოდ ქვათა ღალადი.

ქვას გული არ აქვს, როგორც შენ არ გაქვს,
ამაოებავ, დაუვიწყარო!..
უცებ ქვა გასკდა და მის სიღრმიდან
ამოჩუხეჩუხდა ცეცხლების წყარო.

ასე, პოეტის ბედიც: დუმილი
დიდხანს აწვალებს ქვათა სიმძიმით...
უცებ მოსკდება გრძნობათ ნაკადი
და სიბნელეში შედის ციმციმით!

30. IV. 1935

პალთან ძეგლია

ბალთან ძეგლია,
ცათამდე ადის,
ხელში უჭირავს
რა თავის ქალა,
განთიადიდან
განთიადამდის
დგას – გარინდება
მან დაივალა.

მას გაზაფხული
ვარდის ღილებით
რთავს, მოწინება
არ აქვს მონური;
მისთვის ერთია:
ეს ყვავილები
ნამდვილი არის
თუ ხელოვნური!

ის ლაპარაკობს
დროთ საზღვარს იქით –
დემონიური,
სასტიკი, ხმელი
და სივრცეებში
თანაბრად – იგი
შეშლილია და
წინასწარმომქმედი.

მაგრამ როს ნისლი
დაიფანტება
და ჟამი მოვა
ალთა დანთების,
მის წინ ქუჩაზე
გაილანდება

მთელი მდინარე
დემონსტრანტების.

მასში მიმავალთ
ის ხელებს უწვდის.
იგი აქ არის
ამ გამთენიას.
ის ეხლავ ხედავს
და აღარ უცდის
თავისუფლების
მებრძოლ გენიას.

14. V. 35.

მე გამოვშორდი ავადებულ მხარეს

მე გამოვშორდი
ავადმყოფ მხარეს,
იქ უსიცოცხლო
ფოთლების ფენას,
კონცლაგერების
დღეებს მწუხარეს,
მიხაკისფერი
დღეების დენას.

იქ ხალხი მარხავს
პირველ სიყვარულს,
პირველ ვარდებით,
წვიმით და მეხით.
ციხიდან ცდილობს
გამოსვლას ფარულს
და საზღვარგარედ
გაქცევას ფეხით.

შენ მოდიოდი.
სიცოცხლე შენი
საზღვართან მხოლოდ
ბეწვზე ეკიდა,
მაინც სიკვდილის
და შიშის სენი
კოცონად გულს ვერ
შემოეკიდა.

რაა სიკვდილი?
გზა, სასაფლაო,
სამარადისო
ბანგი, ჰაშიში

გვერდაუვლელი,
მაგრამ ამაო,
უცილო, მაგრამ
არა საძიშვი!

ყვება უცნობი,
თუ გერმანიის
გული ვით იწვის,
როგორც სანთელი,
სახელი ბრძოლის
და ჰენრიხ მანნის,
ხმა, ოვაციის
კორიანტელი.

14. V. 1935

უმუშევარი

შენ ჰკარგავ გრძნობას. ეხლა შენ გძინავს
დალლილი ძილით,
რომ სენის ნაპირს, ელვარედ მბზინავს,
დახედო დილით.
თუ არ გასვენებს ქარის გრიალი,
არ უთმობ შენცა.
შენ გესიზმრება დროშათ შრიალი –
ახალი ზეცა.

მაისი, 1935

ქარი

თავგანწირული
მოჰქეროდა ქარი
სისინით, შხამით.
კოკისპირული
წვიმა და ლვარი
მოვარდა ლამით.

მივდივარ. მკრთალი
სანთელი გაჰქირა
ჯერ ისევ გზაში;
ელვამ კლდეებზე
სინათლე გაჰქირა
და ჩაჰქირა მთაში.

იქ საარაკო
ქოხის საბური
ხომ არა ჩანდა?
არა! გორაკი
რამ უდაბური
ელვამ გალანდა.

შორეულ სახელს
მე ვიჭერ სმენით,
ხმამ მიმიტაცა.
ვიღაც მეძახის
მშობლიურ ენით,
მეძებს ვიღაცა.

მაგრამ, ო, არა,
ეს მგლოვიარე
ქარი ცახცახებს.

მედგრად იარე,
აქ შენ არავინ
არ დაგიძახებს.

კოკისპირული
წვიმა და ღვარი
გადივლის ღამით.
თავგანწირული
ჩადგება ქარი,
ჰერძნობდე სიამით!

1935, მაისი

სადღაც პი...

სადღაც კი ჰყვავის ბრონეული,
ნუში და ვაშლი
და პოეზის არ იქნება
გადავიწყება.
თუ მომეძალა მწუხარება –
გიოტეს გავშლი,
იქ მშვენიერი ერთი ლექსი
ასე იწყება:

„შენ იცი მხარე, სად იზრდება
დაფნა და ტვია,
ლრმაა და სულთა ლაუგარდები
ცათა კამარის,
სადაც ლიმონსა და ფორთოხალს
ოქრო ატყვია,
ხშირ სიმწვანის ქვეშ მხურვალება
უცხო რამ არის.

იცი ეს მხარე? ო, ძვირფასო,
იქ, იქ ნეტავი
გადაგვაფრინა, შევაფაროთ
მე და შენ თავი.

იცი მწვერვალი, სად ბილიკით
ცხენი ეშვება
და სალ კლდეების ბურუსებში
დაეხეტება,
სად მთათა მოდგმა დასადგურდა,
გარდაქეშანი.
სად წყალვარდნილის და ზვავის ხმა
ხევებს ედება.

იცი შენ ის გზა? იქ ჩვენი გზაც
ჭაობთა ზემო
გაკვალულია. იქ წავიდეთ,
მფლობელო ჩემო.

შენ იცი სახლი მარმარილოს
სვეტებით თლილით.
ბრძყინავს დარბაზი და გუმბათი
მაღალ სხივითა.
გჭვრეტენ ქანდაკნი მწუხარებით
სავსე დუმილით,
საბრალო ბავშვო, რა განუხებს,
რა მოგივიდა?

იცი ის სახლი? რა ტებილია
ის სამფლობელო...
იქითკენ, ჩქარა, იქ წავიდეთ,
ჩემო მშობელო!“

1935. ბერლინი

მისამარია ცვიგაში

დღეს ნოტრ-დამთან (სნებიან
ფანტაზიის ნახატი!)

კალენკორის ფრთებიან
ანგელოზებს ნახავდი.

ღია ცის ქვეშ მტვერია,
კარებს აღებს მისანი
და მიდის მისტერია:
ვნებანი უფლისანი.

სცენა გამოხატავდა
სამოთხეთა შვენებას
და გარშემო ფანტავდა
რაღაც საშინელებას...

მაღლა ტიტანიური
იყო ღრუბელთ თეთრობა,
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.

მარჯვნივ – უზარმაზარი
დევი მწვანე თვალებით,
კოშკი, როგორც ტაძარი,
ედგა ზურგზე ბრჭყალებით.

და კოშკის კბილებიდან
ცბიერი და ხელშმაგი,
როგორც შორი მთებიდან,
იზრდებოდა ეშმაკი.

კოშკიდან კი დროდადრო
კრთოდა ცეცხლის ენები,
თითქმ ცეცხლმა დაათრო
ჯოჯონეთის ფენები.

ირეოდა გალობა
შორი, ხმადაბუგული,
ორგანოთა მკრთალობა
და ზარების გუგუნი.

წაიშალა ეს გრიმი,
არცთუ ისე გმირული,
წამოვიდა რა წვიმა
ჩქარი, კოკისპირული.

ამიდი გაკვიმატდა,
დამამ ქოლგა გაშალა,
წვიმამ უფრო იმატა –
მისტერიაც ჩაშალა.

და შემდეგ კი (სნებიან
ფანტაზიის ნახატი!)

კალენკორის ფრთებიან
ანგელოზს ვერ ნახავდი.

მაღლა ტიტანიური
გაჰქრა ღრუბელთ თეთრობა,
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.

[ივნისი, 1935]

ტირიფი

დარგული ალფრედ დე მიუსსეს სამარესთან

ტირიფი ტირის
მდინარის პირის
და თავის გმირის
თავგადასავალს.
(აქ მრავლობითი
იდგა კოპიტი
მარადყოფითი
შრიალით სავსე),

ფერმკრთალი მუზა,
შემკრთალი მუზა,
ნამდვილი მუზა
დე მიუსსესი,
ტირის, რომ დღემდე
მიუსსეს შემდეგ...
ოცნებავ, შესდეგ...
აი, მიზეზი.

ტირიფი ტირის.
მე ცრემლის ხშირის
არა ვარ მომხრე:
არაა წესი.
დრო ანთებს რკინას,
დროს აღარ სძინავს
და ჰქუს და გრგვინავს
ჩვენი კონგრესი.

[ივნისი, 1935]

იმ დღეს რომ იყო

იმ დღეს რომ იყო
კოხი და თქეში,
პარიზზე ქარის
რომ ჰქუბდა სვეტი,
მძლავრმა გრიგალმა
ბულონის ტყეში
ხე ამოგლიჯა
ექვსასზე მეტი.

ძირფესვიანად
გულალმა დაწვა
გადალეწილი
ალვა და წაბლი,
თანაბრად გრძნობდა
სიტყვას: თავდაცვა!
უბრალო ჩიტი
და დირიქაბლი.

ვერსალისაკენ
განადგურების
აზვირთებული
ტბა მიედინა,
შემდეგ ეკვეთა
რადიოსადგურს
და კაბინებს ხმა
გააკმედინა.

როგორც ქალს, შიშველს
სულით და ხორცით,
ბულვარს ის სეტყვა
სცემს კმაყოფილი;

აცურდა ქუჩა,
ნაგები ტორცით,
ნიალვარს მიაქვს
ავტომობილი.

რა საოცარი
ისმოდა მარში,
როს ქარი ჩადგა
და გზები მოშრა.
ამგვარ პარიზში,
ამნაირ ქარში
ავაფრიალეთ
კონგრესის დროშა.

[ივნისი, 1935]

ნეგორილოვ

დუმილი ფარავს
ტყეს და მდელოებს:
გავცდი ვარშავას,
მდუმარებს არე...
ვუახლოვდებით
ნეგორელოეს,
სადაც იწყება
სამშობლო მხარე...
სადაც მძლავრია
წინადი გრძნობა –
ახალ ვარდებით
შემოსილ შარის...
გულში ვინახავ
გრძნობებს, ევროპა,
მასზე რაც იყო –
რაც არის, არის!

[ივლისი, 1935]
სტოლპცი-ნეგორელოე

ჰარევი გარბიუსი კონგრესზე

ბრწყინავს დარბაზი,
სინათლე ნაზი,
როგორც ნანატრი
რამ ფერია –
იატაკიდან
ჭერს შეერია
და ელვარების
მისცა სიახლე.

როგორც სიზმარი
რამე ნანატრი
გადაეხვევა
ათასფერ მინას –
ასე დიადი
სასახლე ბრწყინავს,
შეთანხმებისა
ბრწყინავს სასახლე.

რა მორიდება
და დიდი ხათრი,
რა სიყვარული
ხალხის სწერია
გამოძახილში:
მშვენიერია
ბარბიუსის სიტყვა,
მისი – მეტადრე.

ამ გამოძახილს
იმ მომენტს ვადრი,
როდესაც ცეცხლი
ადუღებს რკინას;
დიდ იდეებით
თეატრი ბრწყინავს,

გამარჯვებული
ბრნებინავს თეატრი.

პრეზიდიუმში
ჩემს გვერდით წყნარი
და მოლიმარი
ზის ბარბიუსი;
მას აქვს ლიმილი
დაუკინძყარი –
თვალებშიც ნაზი,
ლურჯი ბურუსი.

პარიზთან მჭიდროდ
გადაზრდილია
ბარიკადები
წითლად ნაბანი,
ეს პერ-ლაშეზი,
ეს ბასტილია,
ზარბაზნების ხმა
და პარაბანი.

გარედ კი მტერი
დადის იოლად,
სადაც პალმების
მწვანე ქაფია,
მას უნდა არა
კარმანიოლა,
არამედ დუჩეს
ბიოგრაფია.

სახალხო ფრონტს და
ინტერნაციონალს
სურს ხალხში მკვიდრად
გაიდგას ფესვი,
მის ბრნებინვალე და

მზიურ მომავალს
ეხმაურება
ჩვენი კონგრესი.

ამაოდ კი მტერს
სურს დაარბიოს,
ის სიცოცხლესთან
თამაშს ვერ იგებს –
არა ერთს და ორს
ჰანრი ბარბიუსს
დაუკავშირებს
მებრძოლთა რიგებს.

ამაოდ სიკვდილს
სურს დასცეს გმირი
და ამოგლიჯოს
საგულეს გული,
თვით დაეცემა
გულგანაგმირი,
სიცოცხლის ცეცხლით
შემობუგული.

ახალი გზისთვის
ჩვენ მიგვიგნია –
მსოფლიო ცეცხლით,
მსოფლიო ცეცხლით
წიგნით სტალინზე!
ეს ის წიგნია,
სად დინამიტი
ელავს ნაკვერცხლით.

6. IX. 1935

ჩანგო, პევრი კარგი დრო

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
მძიმე, ძველი ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

საქართველო – პარიზი
სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო! დამიმტკიცე, რომ
სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

13. IX. 1935

ხმოვანი პინო

საღამო წყნარი. უღრუბლო სახეთ
ახალი ღვინო.
ოცდაათი წლის წინად რომ ვნახეთ
პირველი კინო.

ზღვა ხმაურობდა. ეს იყო ქვიშის
ხმოვანი ჯადო.
მონტევიდეო, ლურჯი პარიზი
და კოლორადო.

მას შემდეგ ხანა ორად გაიყო –
გული ამ გულში.
(ეს ოცდაათი წლის წინად იყო
და არა გუშინ).

არ გაიარა მას შემდეგ ჯადომ,
ხანა წუხილის.
ისევ ის განგი და კოლორადო
ვნახე წუხელის.

და ფრანგულის წილ (გზა უისროთა)
როგორც სინანულს –
ხმოვანი ფილმი სიტყვებს ისროდა
ამერიკანულს.

გაჰქრა მსუბუქი შრიალი ქვიშის
ალ-მოფერადო...
მონტევიდეო, ლურჯი პარიზი
და კოლორადო.

* * *

საღამოხანად
ელვარე რამა –
მოეფინება
პროსპექტებს თრთოლა:
კინოთეატრი,
ბრწყინავს რეკლამა
და ასოები
აქლემთა ტოლა.
სადაც სინათლის
იღვრება ზვავი,
დამმოწებელი,
როგორც ნექტარი,
ბავშვის თვალები
დაუნისლავი
ისე ფეთქს, როგორც
ეს პროჟექტორი.
შიგნით რა მძაფრი
სიცილი ისმის,
რა სურნელებას
სცემს უცხოეთი?
სადღაც, გარეშე
სოციალიზმის,
არტისტი, ბრძენი,
მოგვი, პოეტი –
რალაც ზედმეტად,
ყალბად ხატია,
და თავისთავში,
სხვაგვარად ზრდილი,
ურცხვად თავს ახვევს
„დემოკრატიას“
ყველაფერს, რასაც
ჰქვია უტილი.

[1935]

სიმღერის მინდა მე წამოცევა

სიმღერის მინდა მე წამოწყება,
რომ გაიძალოს გამოცოცხლება!
გამოცოცხლება, გამოცოცხლება
და არა ძილი!
დღეს ერთმა შეხვედრამ იღანდა
დილით,
ისეთმა, რომელიც მართობდა
ბავშვობის დროს გადამეტებით:
ერთი ღრუბელიც ცაზე არ ჩანდა –
მე კი სახეზე მეცემოდა
უეჭველი წვიმის წვეთები!
გრილი.
სანამ გაშრება და ჩამოცხება –
სიმღერის მინდა მე წამოწყება:
გამოცოცხლება, გამოცოცხლება
და არა ძილი!

[1935]

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,
თავმიდებული აჭარის კალთებს.
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს.
სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი,
რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,
არამედ კაცი რწმენით და იჭვით.
რომ მომავალშიც ავიტან მრავალს
უამიდობას, წყურვილს, სიცივეს,
ოღონდ ვხედავდეთ ჩვენ წინ მიმავალს
ერთი იმედის შუქს მოციმციმეს.
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,
შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან,
ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან.
მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს.

1935

* * *

საღამოს მთების, დღისით ზღვაური
მოპქრის ზაფხულის ზეფირი ხშირი –
თვლემს მწვანე კონცხი, მახინჯაური,
თვლემს ქობულეთი და ციხისძირი.

აქ თვითეული მომწვანო კორდი
სდგას მშვენიერი და თავმომწონე,
როგორც მომავლის მქონე კურორტი,
უდიადესი მომავლის მქონე.

ვერ შეაჩეროს მთებმა მაღალმა,
გზა მიდის – როგორც სარკე – კრიალა.
და ეს-ეს არის, ახალთახალმა
ავტომ მის ხიდზე გაიგრიალა.

ძვირფასო მხარევ! რა დიდებული
ალერსი არის შენი მთა-ბარი:
დაღლას რომ იგრძნობს პოეტის გული,
ხარ მისი მყუდრო თავშესაფარი!

[1935]

ვერდაძლეული

ვერდაძლეული – გზით შხამიანით,
სიცხით, ჭაობით და ტრამალებით –
მოდის მედგარი ადამიანი
და გული მისი ძგერს გამალებით.
წინათ სიმძიმედ მას თავზე აჩვა
ამინდი მთების, ამინდი ზღვისა,
მაგრამ გავიდა მცირე ხანი და
ზღვაც შეისწავლა, მთაც შეითვისა.
ადამიანმა სძლია ბუნება
და მისი სუსხი, მტრობა მრავალი,
და ეხლა მის გულს ესალბუნება
ცა, სილაჟვარდით ამომავალი.
ადამიანი აქ მოსულა, რომ
მძლედ შთაისუნთქოს ზეცა მზიანი,
რომ სიხარულად აქციოს შრომა
და იყოს მართლა ადამიანი.

[1935]

მიღიოდა თეთრის ჯარი

ზღვის ნაპირად გულდამწვარი
მიდიოდა თეთრი ჯარი,
ცაზე ოქროს სარტყელია
და მინდორზე ოქროს ცვარი.
აპა, ზღვიდან ნაპირებზე
ამოეშვა ზენა-ქარი,
ცხრა ჭადრის შტო დაარხია,
ცხრად გაშალა მისი მხარი.
ჩრდილი დადგა საამური,
დაბურული, ნაზი, წყნარი
და იმის ქვეშ შეგრილდება
მიმავალი თეთრი ჯარი.
მთით ანკარა წყარო მოდის,
ციფი, როგორც ნაყინარი,
მზე სამ სახრეზე რომ დადგა,
გაიშალა მთების კარი –
გადმოეშვა წითლების ზღვა,
როგორც რკინის ნიალვარი.
სეტყვად რომ ცხვარს დააცხრება
შეშინება და თავზარი,
წინ თეთრი თხა (მის სახელი
იუდაა მოსისხარი)
გარბის და მას თან მიჰყვება
ცხრა ათასი სული ცხვარი.
წინ ზღვა არი, ზურგით წითლებს
ვერ აკავებს ვერრა ზღვარი,
ზღვას გასცერის თეთრი, როგორც
ფარა ხრამის პირად მდგარი.
ჯერ თეთრი თხა გადაეშვა
და მას მიჰყვა მთელი ცხვარი,
ეხლა საზღვარგარეთიდან
იღრინება საზიზღარი!

[1935]

გაზი

მას სურს დასწვდეს ცოცხალ ბაგეა!
მახრჩობელი ჩრდილი!
შესძრას სოფლის თუ ქალაქის
სიცხადე და ძილი!
გაიარა მაღალ კლდეზე
მდუმარება ხიდის,
იგი მოსჩანს მდინარეზე,
იგი ბენვზე მიდის.
სანამლავით ხელში მოსულს
უფრთხის ქუჩაბანდი
და შენებას გრანდიოზულს
ეფარება ლანდი.
ფანტასტიურს რომ ჰგავს გველებს
მდუმარებით სავსე,
მახრჩობელა თავის ხელებს
შლის ქალაქის თავზე.
იგი თითქო მავთულზე რბის
ელექტრონის ცემით,
ეჯიბრება ეკვილიბრისტს
მსვლელს რადიო-გემით
და მშველელი რამე ბადე,
ვით ნამალი ექიმს,
ნიღაბებით მოფარფატეს –
მოაქვს ავიაქიმს!

[1935]

პვეპული

აქ როგორ არ გადიხაროს,
რაც დილის ნამბა დანამა,
შვებულის გული ახაროს
კოლექტიურმა ყანამა.
მზის შუქზე უფერადესი
ჟუჟუნა წვიმა მოსულა,
მოსაწევ-ნახნავ-ნათესი
ყიშინით გარემოცულა.
ეს მოსავალიც, ვით მოლი,
ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გული გაათბოს,
ისევ აკრეფის ხანამა.
ზვარს ვინ შეხედავს უგულოდ,
ვარდი ყელამდე მოსულა,
სიმღერა დავაგუგუნოთ,
ჩვენი შვებულიც მოსულა.
მოსულა, მოსულა, მოსულა,
ჩვენი შვებულიც მოსულა,
გაზეთი მოუტანია,
ბობოლა დგას გულმოსულად.
დანამა, დანამა, დანამა,
ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გაგვახალისოს –
შეხვედრამ ამისთანამა!

[1935]

არმილი ვარ

მოხუცი პაპა
ბავშვებს რომ მკლავებს გვისინჯავდა
და შემდეგ დინჯად
ეტყოდა ახლო მდგომარ მეგობარს:
„დახედე ამ მკლავებს,
ვერ გასწევდა კახაბერობას?“
და ეხლა ვფიქრობ:
მაგრამ რა უშავს,
ჯარისკაცობას ვინ ეტყვის უარს.
ვარ არმიელი, იმგვარი მუშა,
რომელიც წვრილმანს გვერდს ვერ აუარს.
როგორ არ ვიცით ეხლა გარჩევა –
დიდი საქმეა აქ თუ პატარა,
ის უნდა გაპერეს, ეს გადარჩება,
ეს გამომაჩენს და ის კი არა!
არმიელი ვარ. კლასთან პირობა:
მოძმესთან ძმობა, მტერთან მტერობა, –
აი, რა არის ჩემი გმირობა
და ჩემი დიდი კახაბერობა!
ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს,
მომავალს მზიანს, უსივრცოდ მზიანს.
სიმღერის ხმა სტებს მიდამოს ტყიანს,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!

[1935]

სანამ არ დამსხვრეულან

სანამ არ დამსხვრეულან
ქნარები და ართები,
ლირიული განდგომის
სიმებს დავეხარბები.

სანამ არ გადამჭკნარან
ბალში ვარდთა ბარდები,
მიწავ, ნუ გეცოდები,
ცაო, ნუ გედარდები.

კოშკი ჩემი მაღალი
ადის დროთა ქროლამდის,
მას მრავალი ბურჯი აქვს,
ყველა მხოლოდ ფოლადის!

[1935]

* * *

როგორც მენავემ ძველი სანავე,
ვით გულმა გული და მკლავმა მკლავი,
ისე პირველი ნახვისთანავე
ვიცანი ჩვენი მდინარის ნავი.

ჩემი ყრმობის ხნის, დიდი ხნის წინედ
ამ ნაპირებმა, სავსემ მწვანეთი,
იცოდა, საჭევ, რა გულმოდგინედ
დავიმეგობრეთ ჩვენ ერთმანეთი.

ნეტა ამ ნავში დამაძინა და
გამომალვიძა ასი წლის გარე –
მანახვა: რა მხრით, როგორ ინათა
და როგორ ნათობს აქ მზე და მთვარე.

[1935]

* * *

ეს ძველი მუზა ცბიურ გველივით
ნებივრობს ლამით, თუ თბება დღისით,
მარადის ფიქრობს, რომ ყოველივე
იწყება მისით, თავდება მისით.

შხამი შხამს, როგორც ატომი ატომს
უერთდება და გაშინებს ვითომ.
შენ ეკითხები საცოდავს: რატომ?
ის ცინიკურად – ისე, იმიტომ!

კლასიკოსების, თუ ჩვენს დროებას
იცავს მორნმუნე საკუთარ სარფის,
როგორც კი იგრძნობს საშიშროებას,
სტოვებს ბრძოლის ველს და გარბის, გარბის.

თან, ძუნწი, რითმებს მოიხვევს ძაგრად,
ერთის დათმობას კი არ ისურვებს,
მაგრამ როდესაც მიარტყამ მაგრად,
ორმოცდათსაც არ დაიშურებს.

მიუსაეს შემდეგ ფერმიხდილი მზით
რომ ოცნებობდეს ვინმე, ძნელია.
უძველეს დროის, მაინც, ვერასგზით
განცდებს ეს მუზა ვერ შეელია.

და ადგილს, [სადაც] ცრემლი მოსდის ქვას,
არ დაელევა სულს სანდომარი –
მიცვალებულის სადღეგრძელო სთქვას,
ცოცხლის კი მხოლოდ შესანდობარი.

[1935]

თვალებით თვალში

ფიქრნი ისკრიან უნელებელ
ელვათ ტბორებას.
ხომ შეიძლება იყოს ქვეყნად
ნამდვილი მითი.
კვლავ იძაფება წამით მაინც
თვალთ დაშორების
შეუძლებლობა საშინელნი,
ცივი მაგნიტი.
ყალყზე დამდგარნი
სისხლიანი
დაჯახებისთვის
უფრო და უფრო, და უფრო ღრმათ
თვალები თვალში!
წამითი წამით დაეძებენ
მომენტს შებმისთვის
ორი გიგანტი, ორი რისხვა
გაურღვევ რკალში.
თვალებით თვალში! ერთნი ხედვენ
ნათელს, სხივმოსილს,
ძლევამოსილი და ამაყი
მიმავალ გზებით,
მეორენი კი სისხლიანს და
შავს, დამპალს, წარსულს,
ბრჭყალებიან მხეცს, შეშინებულს
მზის მონათებით.
თვალებით თვალში...
და შეიბნენ! ზრიალებს მიწა!
ზრიალებს მიწა და ცახცახებს
სამყაროიცა,
შეიგნე: აპა, სამყაროს მთელს
ეს ატრიალებს,
კიდით-კიდემდე, ციდან ცამდე
ზრიალებს მიწა.

[1935]

ფაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების

ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების,
მთებში ეღვიძება ხეთა ათასეულს,
სფინქსის ეპარება ფიქრი გამკლავების
ლანდებს, ხიდეების სიგრძივ გადასეულს.

სადღაც დაიძახებს შორი მდინარიდან,
რაღაც ფრინველია, რაღაც ხმა კისკისა,
და კვლავ სიჩუმეა მაღალ მყინვარიდან,
აჰა, ვარდისფერმა ალმა იგიზგიზა.

აი სანახავი, თუ გსურს, დიდებული –
მართლაც, მშვენიერი, კარგი სანახავი...
ღამე, კოცონებად შემოკიდებული,
ალი, მდინარეზე გადანასახავი.

ვიცნობ ამ ნაპირთა ასავალ-დასავალს,
მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმიება,
როსმე მოგიყვები მათ თავგადასავალს,
და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება.

მანამ შენს თანადარს გზები დაუფარჩოს,
შუქთა შეკაზმვას და ალთა გაჭენებას,
იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს,
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას!

[1935]

გვადალკვიპირი

რომ გაჰქირა სხივის
ალერსი ძვირი –
შფოთავს და ჩივის
გვადალკვიპირი:

„რად მინდა ვაზის
ნაზი ოცნება,
ან სილამაზის
გაჯადოსნება?

ანუ ჩრდილები
მძიმე მტევნების,
ან ყვავილები
ძველ ხეივნების?

ზვირთების სუნი,
მეთევზის მღერა,
ფუტკრის ზუზუნი,
ნიავის ბგერა.

ლაშვარდი ელვით
მშუქარე ტბები,
ზურმუხტის ველით
ვერა, ვერ ვტკბები!

მე მფარავს ისლის
შავბნელი სვეტი.
ჩემს ზვირთებს სისხლის
დაეცა წვეთი.

მას შემდეგ მეტი
არ მეფერების
თუნდ ერთი წვეთი
ბედნიერების!“

ხშირი ზეფირი
სტირის, ვით სირი,
ჩივის და ოხრავს
გვადალკვივირი.

1935

* * *

უცხოეთის გზიდან გზამდე
მიმავალო შარავ,
მგზავრმა იცის, გულში რამდენ
საიდუმლოს ფარავ!

შენს ფენილზე მიდი-მოდის
ათასგვარი მგზავრი...
მიაქვს უცხო აქამომდის
ოცნება ან ჯავრი.

ყოველნაირს იტანს ტეხილს
შენი გული ლოდის,
ზოგი ეტლით, ზოგი ფეხით,
ფოსტაც მიდი-მოდის.

მიაქვს, მოაქვს ბარათები
შენს სივრცეებს მარადს,
მხოლოდ ერთს რა ემართება? –
ვერ ეღირსა ბარათს.

ელის, როგორც ამოხეთქვას,
ელის, როგორც მადანს,
მაგრამ მცირე რამე ფეთქვა
იმამდე ვერ ატანს.

შენ აშორებ საყვარელ გულს
და მის გულსაც ბზარავ –
უცხოეთის გზიდან გზამდე
მიმავალო შარავ!

1935

აპესინელო!

იტალიიდან
თავს დაგტრიალებს
ჰაეროპლანთა
მსუსხავი ჩრდილი:
იგი ჩრდილია
მხოლოდ სიკვდილის,
ჩრდილი და არა
თვითონ სიკვდილი!

შენ არ ჩააგო
ქარქაშში ხმალი,
რევანშის გრძნობა
არ შეინელო,
სადაც შობილხარ,
იმ მთა-გორების
იყავ ერთგული,
აბესინელო!

დარბევა, ქვეყნის
განადგურება,
რა სამარცხვინო
ასპარეზია.
ო, ეშინოდეთ
იმგვარ სიცოცხლის...
ის ხომ სიკვდილზე
უარესია!

1935

მცენალი გრიმით – პარიზის კონგრესზე

ჰგავდა კონგრესის კულუარები
ჯერ დამშვიდებულ სტიქიის მორევს,
გერმანიიდან მიღებულ ამბებს
უზიარებდნენ ერთიმეორეს.
ემიგრანტია დღეს ჰენრიხ მანი,
ფეიხტვანგერიც ემიგრანტია,
მაგრამ მომავალ შეტევის ცეცხლი
არალეგალურ ნისლში ანთია.
არც ერთ მწერლობას არ განუცდია
ის საშინელი ცხოვრების დრამა,
რომელიც წილად ხვდა გერმანიას,
რომელმაც მტერი გაათამამა.
დელეგატები ბჭობდნენ ხმადაბლა
და ხმაც მცირეა, როგორც ატომი,
დელეგატები ბჭობენ ხმადაბლა,
ტრიბუნასთან კი დგას ორატორი.
იმ პირობებში, როდესაც მუშას
სიკვდილით სჯიან ცენტრში ევროპის,
მხოლოდ იმიტომ, რომ რემედასის
ალმოუჩინენ წიგნი წევრობის,
პოეტი მაინც ახერხებს სუნთქვს,
პოეტი გმირულს რაიმეს სჩადის,
დელეგატები ბჭობენ ხმადაბლა
და ტრიბუნაზე უცნობი ადის.
ამ დროს დარბაზში სინათლის თითქო
მოულოდნელად შენელდა შუქი.
სამარისებურ სიჩუმის წამებს
სთვლი: მოხუცია ის თუ ჭაბუკი?
იგი გრიმშია. შავ სათვალეებს
იდუმალება სდევს უჩინარის,
სამარისებურ სიჩუმის გარსში
დგას და არავინ იცის: ვინ არის?

სდუმს მიკროფონი: ვერც გერმანია
და ვერც სხვა უცხო ქვეყნების რიგი
რადიოს მძაფრი გამოძახილით
ვერ გამოიარკვევს: ვინ არის იგი?
და მღელვარე ხმით იწყებს უცნობი:
„ჩვენი მხურვალე სალამი კონგრესს,
რომელიც სულის თავისუფლების,
ზავის და წინსვლის მებრძოლებს მოჰკრებს.
ჩვენში ადვილი არაა ბრძოლა.
ამ იდეების მკაცრი მტერია
ადგილი, სადაც კონცლაგერია,
სადაც მესამე სდგას იმპერია.
გათელილია სიმართლის სიტყვა,
ყველასი, ვინაც გულს ამოიხვევს
და საწამებლად მიჰყავთ ყოველი,
ყოველი, ვინაც ხმას ამოიღებს.
მიუხედავად ამისა, ჩნდება,
როს მოთმინების ივსება სურა,
არსებობს დიდი, არალეგალი
და მეომარი ლიტერატურა.
საწერ მანქანებს უზის ასობით,
მოლოდინში რომ, როგორც გეენა,
კარს შემოალებს პოლიციელი
და მოიკითხავს: რასა სწერთ თქვენა?
მე არ დავიწყებ საუბარს მასზე,
თუ როგორია ჩვენი ცხოვრება,
თუ გერმანიას ვით მოადგა კარს
სუსხი კრიზისის, გამათხოვრება.
გიამბობთ ამას ამ რომანების
და მოთხოვნების ჩუმი გატანა,
რომელიც შექმნა იატაკისქვეშ
და ჯგუფმა მე აქ გამომატანა.
და არ არსებობს არავითარი
მიხაკისფერი ცივი კედელი,
რომ დაგვაშოროს და შეაფერხოს

თქვენდამი ლტოლვა განუწყვეტელი.
როდესაც გზებით შეუძლებელით,
ჰენრის მანნ, მოგვწვდა თქვენი წერილი,
როს გერმანელი მწერლების წყება
პარიზიდან გვწერს გულდასერილი,
ბარბიუსის და რომენ როლანის
როს წავიკითხეთ ჩვენ მოწოდება,
გულმა კვლავ ძლიერ დაიწყო ცემა
და ჩვენი თავი არ გვეცოდება.
როცა გავიგეთ, რომ ანდრე მალრომ
ჩვენი ყოფილან შემოსა თემა,
გულმა შეიგრძნო ის სიხარული
და უფრო ძლიერ დაიწყო ცემა.
ჩვენი სალამი ემიგრანტ მწერლებს,
სულ ამაოა, რაც თქვენ დაგმართესთ,
თქვენ სამშობლოდან გამოგაძევესთ,
მაგრამ სამშობლო თქვენ ვერ წაგართვესთ.
ხომ პოეტების, მოაზროვნეთა
და ჯალათების იყო ქვეყანა,
მაგრამ სამშობლო ადოლფ ჰიტლერის –
არა, არაა ეს გერმანია!
და გერმანია ხვალინდელი დღის
თავისუფლებით, ახალი სიბრძნით
დღეს იბადება ეს გერმანია!
აი, რისთვის ვსწერთ და რისთვის ვიბრძით“:
უცნობი, გრიმში, სცენიდან გაპქრა,
ის გაპქრა, მაგრამ მთელი დარბაზი,
ვით ერთი კაცი, აღელვებით დგას,
თითქოს სვეტებსაც გააქვთ ბარბაცი.
მხნე ტაშისცემის გრგვინვა-ქუხილი,
დიდის გენიით ნაჭედი სიტყვა,
ჰფეთქდა მზე ნიჭი და ენერგია
ენტუზიაზმი, რაც იმ დღეს ითქვა.
ეს იყო ვრცელი, დიდი პოემა,
ედგარ პოს სიტყვა თუ მართალია,

რომ პოემაში, როგორც რომანში
ან ნოველაში – რაც კი ძალია,
ყოველი უნდა ისწრაფებოდეს
კარგი დასკვნისკენ – უცნობის გრძნება,
შედეგი მისი დიდი გამოსვლის –
იყო პროტესტი და აფეთქება.
მან მთელ კონგრესზე დაუვიწყარი
შთაბეჭდილება დასტოვა ფიცის,
იყო გრიგალი, მაგრამ ვინ იყო
და ან ვინ არის? არავინ იცის.

1935

ოქრო

რაც ამ დიდებულ სასახლეებს ჰქონია ოქრო,
ნუ გეგონება ის უმანკო და უჯადოქრო.

იყო დროება, მყუდროება და მოგროვება,
ყველა საგანის ამნაირად მოოქროვება.

მშვენიერ ეტლთა, ქანდაკებათ, შადრევნათ თოვა,
დრომ შეაყენა, დაიტოვა, მოოქროვა.

ძვირფასი თასი, აზარფეშა ჩქარა მოიტა!
ო, ყველაფერო, ავსებულო ამ ოქროითა.

მოგროვდით, ძველო ტილოებო, ჰეი, მოგროვდით!
კვლავ გამოცოცხლდით ჩარჩოებში, კვლავ მოოქროვდით!

იყო დრო, ძველო ფეოდალო, როცა მოჰქროდი
ამ გარეგნული ელვარებით, ვერცხლით, ოქროთი.

და შემოიჭრა უეცარი ვაჭარი – პროზა
და სხვანაირი შეფასება მისცა ოქროსაც.

ის იყო ტლანქი, იყო სწრაფი და მისებური –
მას იქრო სურდა, არა რამე ოქროსებური.

ამ სასახლეში ერთხელ მძაფრად მოიჭრა შრომა.
რევოლუცია სისასტიკით იგრძნო იქრომა.

მეფე ბრწყინვალე ქვეშ მოექცა ტალღას ბობოქარს,
ოდეს პარიზი მიაგავდა ცეცხლოვან ოქროს.

არა საწმისი ოქროისა მედეას მიწის,
არც ლეგენდარულ მაძიებლის ოქროს საწმისი –

არის ახალი კლონდაიკი, ოქრო, ბადახში,
ოქრო მიწაში, ოქრო წყალში, ოქრო ტალახში.

ჩამავალი მზის ნაზი ქარი ვერ დაათავებს
ჩვენი მინდვრების ალერსიან ოქროს თავთავებს.

თანამედროვე სხვა ოქროის შეჰქმნას კედელი –
არ დაიღლება ქალაქების ოქრომჭედელი.

მშვენიერ ბალებს ამ ფიქრების გაეკრა ფონი,
როს ვინახულე მე ვერსალი და ტრიანონი.

1935

მისი პუნება

აუწერელი გარყვნილება
და ფუფუნება –
აი, რა არის, კაპიტალო,
შენი ბუნება.

აუწერელი, ბუნებიდან
გადანაშალი,
აუწერელი ცოდვები და
დანაშაული.

ასე ჩაფლული, გამოსავალს
დაეძებს ტომი,
გამოსავალი შენ იპოვე
კიდეც: ჰკა! ომი!

საკუთარ მოძღვარს ეთხოვება
განა შენდობა?
ვერც საკუთარ ჯარს შენი გული
ვერ მიენდობა!

მაინც საზარი ომი კართან
არის მოსული –
ომი სასტიკი, უბადლო და
ბარბაროსული.

მის საშუალებით გზა კარგად გაქვს
გამოსახული,
განადგურება საოცარი,
ჯერარნახული.

ურაგანულ ცეცხლს მიეცემა
გალერეები,

წიგნთსაცავებზე ავარდება
ალთა ტყეები.

მუზეუმები უმდიდრესი
და ყველაფერი,
რაც გონების და ნიჭის მიერ
არის ნაფერი,

რითაც ამაყობს კულტურული
და მტკიცე რიგი,
წინააღმდეგი არის ომის,
არ უნდა იგი!

უკეთეს პოეტს ევროპისას
სალამი ამ დროს.
მის ნათელ დროშას, მის მგზნებარე
ჩანგს გაუმარჯოს!

არა მათ, რომელთ მოქმედება
ნაქები დიდად,
ძველმა ევროპამ შეითვისა
და შეისყიდა!

რომ ექო მისი განცხრომის გზა
და ფუფუნება –
შენი სიცოცხლე, კაპიტალო,
შენი ბუნება.

1935

სამშობლო

სამშობლოის გზას მრავალფერს,
შარაა თუ ვიადუკი –
გამარჯვებებს თანაბრად სწერს
თმაჭალარა და ჭაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს,
ახალგაზრდას ძალა სწვდება
და ორთავეს სურს დაიწყოს
ერთმანეთთან შეჯიბრება.

მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს,
ახალგაზრდას ცოტა გვერდათ,
მაგრამ კედლებს და სახურავს
თავს ევლება ორივ ერთად.

სამშობლოის გზას მრავალფერს
შარაა თუ ვიადუკი –
გამარჯვებებს თანაბრად სწერს
თმაჭალარა და ჭაბუკი.

[1935]

ფიქრები სამშობლოზე

ნავთსადგური დიდი, ვრცელი,
ტვირთებს ზიდავს კაცი – მონა.
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

გამახსენდა! დაბადება –
განთიადით შუქს აპეურებს,
სხვა ახალი ემატება
ჩვენი ქვეყნის ნავთსადგურებს.

სიყვითლით და დაობებით
რომ ბორგავდა წინად ფოთი,
შრება ძველი ჭაობები
და რიონის სცხრება შფოთი.

ცხრება მისი მავნე შფოთი,
გადალეკვა ველარ ართობს –
გასჭრეს სულ სხვა კალაპოტი,
ძველი – ძვირფასს სტოვებს ფართობს.

სად ხვდებოდენ: ზღვა ძლიერი
და რიონი მედიდური,
მშვენიერზე მშვენიერი
დაფუძნდება ნავთსადგური.

აქ კი სილატაკე ვრცელი...
ტვირთებს ზიდავს კაცი – მონა.
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

1935

მოგონება მშობლიურ მხარის

მისცემია ძილს ბრეტანი,
ალივლივებს ზვირთებს მთვარე:
ნამეტანი, ნამეტანი
შორი გზები მოვიარე.

მისცემია ძილს ბრეტანი –
მე კი მახსოვს მსხმოიარე
ჩვენი მთა და მოედანი,
მშობლიური არემარე.

იქ ჭაობი იყო. გაპერა
უამური, სიმწრის ჯაფა,
შფოთიანი ძველი გაყრა,
უმკაცრესი პაპისპაპა.

ოციათას ჰექტარ მინდორს –
ციტრუსების გვინდა ვარდი,
მილიონი კი არ გვინდა,
მილიარდი, მილიარდი!

ასეთ მიღწევაზე სწუხდა
ხანისწყალი და რიონი
და ძვირფასად აზურმუხტდა
ხე, მრავალი მილიონი...

გრეიპფრუტი, მსგავსი მთვარის,
მისი ფერი და ამინდი,
გრეიპფრუტი კი არ არის,
ყუმბარაა, დინამიტი!

[1935]

მოდის

გამოვიდა ომიდან
მკაცრი ცხრას თვრამეტი,
პოეტების ტომიდან
არ დარჩა შესამედი.

ვინაც შიმშილს, ზამთარის
ძნელ სიცივეს გადარჩა,
ნახევარი რა არის –
ნახევარიც არ დარჩა.

რა ხანა გაიარეს,
ცივი და უნდობარი,
მათი, დალუპულების,
ვინ სთქვა შესანდობარი?

მშვიდი, კათოლიკური
სადღაც გაჰქრა მესია,
მათი მყუდრო სავანე
ეხლა პერ-ლაშეზია.

მაგრამ მოდის მეორე
ურჩი, მძლავრი თაობა
და ახალი ცხოვრების
მოაქვს მიმოძრაობა.

ძალა მოექანება
გულისა და გონების,
არა ერთეულების –
ბევრის, მილიონების.

1935

„ლუმანიტე“

მეტი გზა არა
დარჩენია-რა!
თვეზე მეტია,
სად არ იარა,
სამუშაო კი
ვერსად ვერ ჰპოვა,
გულის სიმხნევემ
ის მიატოვა.

მზადაა ეხლავ
წყალს მისცეს თავი,
მან გადასწყვიტა...
და უცებ ზვავი,
ხმათა მოვარდნა:
„იყიდე!
„ლუმანიტე“!
„ლუმანიტე“!
„ლუმანიტე“!
„იყიდე
„ლუმანიტე“!
და შეიცვალა
დღე სულ სხვაგვარად,
ახალ იმედთა
მძლე ნიაგარად.

როგორც დაცემის
და ავზნეობის,
რცხვენია თავის
სულმოკლეობის.
მეტი გზა არა
დარჩენია-რა,
ბრძოლით დააცხროს
გულის იარა.

1935

* * *

ლანკაშირში ეხლაცა დგას
ერთი იმ ცაცხვთაგანი,
სად მუშების გაისმოდა
ხმადაბალი ყაყანი.

იგი ბოლმას იკავებდა,
როგორც ცრემლებს ემბაზი,
როცა მუშებს ისეც მცირე
აკლდებოდა ხელფასი.

იგი ცაცხვი ეხლაცა დგას
საშიშარი, ნაძრახი,
სად უჭერდა საზიზლარი
მოძალადის მათრახი,

სადაც ხშირად გაისმოდა
ქადაგება უვრცესი,
რომ აქ ქრისტეს მოადგილე
არის მხოლოდ ხუცესი.

საით გასწევს? მუშას სად აქვს
სათიბი ან საყანე...
ხმამაღალ ზღვად გადაიქცა
ხმადაბალი ყაყანი.

და პოეტმა, დიდმა შელლიმ
სწრაფად იგრძნო ეგ გზები –
იგრძნეს ლანკაშირელებმაც
მშვენიერი ლექსები.

1935

ეივალის კოშკე

არის მთასავით
კოლოსალური
მარსის მინდორზე
მდგარი შენობა:
მე ავდიოდი,
ვით მოხარული
სვეტებზე ადის
შუქთაფენობა.

ოთხკუთხიანი
ეს პირამიდა,
პარიზზე ასე
განით მჭვრეტელი,
ეხლაც იგონებს,
როგორ ავიდა
ამ სიმაღლეზე
აქ წერეთელი!

(ვიღაცა სწუხდა
მგონი ლექსებით,
რომ გვიან შეხვდა
უეცარ ალებს,
რომ დაუძლურდა,
რომ ექსცესებით
ვეღარ გაართობს
პარიზელ ქალებს).

მე ამ კოშკს ჩემი
შევსწირე მსხვერპლი
და შევიწირე,
ვით სახსოვარი,
ზრუნვის საათი,
ჩუმი საფერფლე,
ერთიც იდეა
სწორუპოვარი:

რომ ეიფელის
მწვერვალზე დადგმულს
რადიოსადგურს
უსმენს პარიზი:
უთანაბრობა
დროებამ შთანთქა,
ეხლა ჩვენია
ეს ასპარეზი!

1935

ევროპის უფრული დღე

დღე ეუბნება ფერადი გემის
სილუეტს ზღვაზე:
განა მე მსურდა ცხოვრების ჩემის
მოწყობა ასე?

ოკეანეთა ხარ მძლავრი გემი,
ხარ ბედნიერი,
მძაფრი ქარიშხლის ტალღების ცემით
ხარ შენ ძლიერი.

თუ უნდობლობამ გაბზარა კაჟი,
შენი დიდება –
არა ჭაობში, არამედ ზღვაში
ჩაეკიდება.

მოწმე მრავალი ხრწნისა და ლპობის,
მაცდური ფიცის –
მე – უფრული დღე ვარ ევროპის,
შენ კი... ვინ იცის?!

1935

რური

რური! რამდენ რამეს ამბობს
მხოლოდ ერთი სიტყვა: რური.
ქვანახშირის მრავალ ამბავს
თან სდევს ბრძოლა უამური.

რა ოფლის და სისხლის ღვრაა,
რა ხვემა განახშირი,
აქ მტაცებლის ოცნება:
ქვანახშირი! ქვანახშირი!

ჩვენს მთებში კი გმირი შრომის
გზით გვირაბს რომ დახაროდა,
მას ბელადის სახელობის
ქვანახშირის მაღაროთა

უთვლის სამას პროცენტს გეზი
თვიურ გეგმით ამონაგებს,
ეს საქმეა უდიდესი
და ამ გმირსაც საქმე აქებს!

ჩვენში შრომა დიადია,
სასახელო, საამური,
არა სისხლის ნაკადია,
ან საარი, ანუ რური.

ჩვენში სიხარულის ზღვაა
აღტაცება განახშირი –
დიდ შენობის ერთი ქვაა
და აგური – ქვანახშირი.

1935

პარელიეფი

მარჯვენა მკლავზე დაყრდნობით გძინავს
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
აქ არასოდეს მზე არ გიბრწყინავს,
გამოღვიძების ასე მდომარეს.

და მაინც წერაქვს, რომ გდია გვერდით,
ვეღარ შორდება ხელი მშრომელი;
ძილშიაც მასთან ისვენებ მკერდით,
დღეც ასე მიდის... მაგრამ რომელი?

გამოიღვიძე! გამოდი ბალში,
მაგრამ იქ, სადაც ჰყვავის იები –
შენ მშრომელი ხარ, შეჭრილი თალში,
ვით პოეტური ბარელიეფი.

1935

ՅՅԱՐԱԿՈՍ ՇՈՒՇՆԱԹՈ

Րա մ՛շվենոյերո
ծառցեծոտ յարցացս!
Բյեցտս. մոճո-մոճուն.
Եացսս առ օկուզեծս.
Ըամոտ սածաննի
յժմակ տացս հարցացս
դա հյոմագ, հյոմագ,
հյոմագ եոտեստեծս:

Եա, Եա, Եա! – Երբուղո
զգոննուար պայլաս.
Առ մեցոնեծս
դա զուոնո զո,
ցամուցալուն, ծեծերս
զեր մցրմենցեն մելաս,
առ օւրան, րոմ
մե զար ցոնոզո.

1935

პანალები

ბანანებსა ჰყიდის
ელვარე ზანგი,
ის მართალია,
ის არ შეცდება;
მუდამ ერთი და
იგივე ჰანგი,
ნირშეუცვლელი,
როგორც წესდება:
მჭლევდება ფილტვი,
სივდება ფრანკი,
ყოფნა დღითიდღე
უარესდება!

1935

ՇԱՏԵՐԵԼՈ ՔԱՅՖՈ

Ռորս ցայցենոլո
մինձարեծու գոլո,
ցըցանքոյուրո
լրուծլեծու հրճոլո!

Նուլեծու մժոմյ
մթեզնեծու մտածյ –
րա սօմճուրյա,
րա սօլամածյ!

Նարոնջու վրւցելո
դա ցարտո ხալո,
տպարոնջո, տպա
տպ ցորտոխալո.

Մժուզեծու նածո,
ցըարու կամածյ...
րա սօմճուրյա!
րա սօլամածյ!

Ես ռպնյեծաա,
ռպնյեծա լալո.
Շեն րա, პաტարազ?
Սեզուսու ծալո.

Սեզուսու մժոմյ
մթեզնեծու մտածյ,
Շզյեծա, սօմճուրյ
դա սօլամածյ.

1935

უგინაო დედა

როს შეგხედე,
გულს მოედო სევდა.
რაღაც მნარე
თვალს ბურუსი ხვევდა.
იმ ყოფაში
არ მენახე, ნეტა,
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!

მთელი ქვეყნის
რას გიზამდათ მტრობა,
რომ გქონოდათ
ერთი მტკიცე გრძნობა,
საარაკო
ბრძოლის ნებისყოფა,
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!

1935

რეიმსი

ცისკრისას თოვლის
ეკიდა ქსელი,
იჩხვლიტებოდა
ყინვა, ვით ნემსი.
მოლუშულიყენენ
ქუჩები სველი,
ბურუსში ძველი
ჩანდა რეიმსი.

თითქო სტიროდა
რეიმსის ზარი,
რომ ღიმილისთვის
დრო აღარ არი,
რომ მთელ ევროპას
ჩუმად ედება
რაღაც ახალი
თავგამეტება.

1935

ულევი, უანგარიშო

ულევი, უანგარიშო,
შიშისგან ურუოლით ამტანი,
შენს არემარეს, პარიუო,
აშუქებს კაფეშანტანი!

ლამე თრთის, ვით კორმორანი,
ნისლის იშლება ჯეჯილი.
სფინქსებთან ჩხავის ყორანი
ბრმა, კოჭლი, ხმაჩახლეჩილი.

პოეტი ზოგი შხამიანს
ხმას – აღმოჩენას ადარებს,
მაგრამ, თქვი, ბრმა ადამიანს
ამნაირს რა შეგვაყვარებს?!

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ურუოლით ამტანი,
შენს არემარეს, პარიუო,
აშუქებს კაფეშანტანი!

1935

მუშის სიჟუვა

უეცრად მუშა წამოდგა ერთი
და ჩვენ მოგვმართა:
დე, გარდიქმნეს ეს უცხოეთი
და ამას გარდა –
თქვენი ქალაქის და თქვენი დაბის
რომ სცვლის სიარულს,
დე, გაუმარჯოს იმ მტკიცე ნაბიჯს
ინდუსტრიალურს.
ჩვენს სიახლოვეს, მეგობრობას,
არა სიშორეს –
გაუმარჯოსო საბჭოთა კავშირს
გმირთა უსწორესს.
მოპოებული არაა უცებ,
რაც სცდება ჩარჩოს,
იმ ძლევამოსილ რევოლუციის
აზრს გაუმარჯოს!
ელექტროშუქი ისეთია დღეს,
ვით ლელვა რამე,
მაშ, გაუმარჯოს თქვენს მილიარდს მზეს,
ძირს ბნელი ლამე!

1935

უცხოელი პრეტი

უმცროსმა ჩემზე
რამდენიმე წლით
ცხოვრებას ადრე
კვალი უძია.
როცა ჰყითხავენ:
საით, რომელ გზით?
ის ამბობს: სადაც
რევოლუცია!

გულით ამტანი
მრავალთა ბეჭის,
იგი ერთგული
პოეტთა რაზმით
სამოქალაქო
გრიგალში შედის
ჯერარსმენილი
ენტუზიაზმით.

როგორ უყვართ ის!
ის ჩვენთან არის,
ის, ვისაც მედგრად
და უანგაროდ
ცეცხლში და წყალში
ახალგაზრდობა
რომ თან გადაჰყვეს –
მზადაა მარად!

1935

თვითმფრინავით

სულ შვიდი კაცი ვყევართ თვითმფრინავს,
მას გამოცდილი მართავს პილოტი,
ზევიდან ზეცის წიაღი გრგვინავს,
ქვეშ ევროპაა ნისლის ტილოთი.

კუპრით მოსილი არის მზე იგი,
წვიმაც სცრის, თითქოს შეჰქრეს პირობა;
რომ ამ ქაოსში შექმნა წესრიგი,
აი, რა არის მართლა გმირობა.

1935

ვუსურვოთ ესპანეთს

სალამო. ჩვენს სუფრას
უხვსა და განიერს
მოაწყდა სიუხვე
ბანანის, ატამის.
რატომლაც იგონებ
სხვა მრავალუამიერს –
მეოთხე, მეხუთე
მუხლამდე ატანილს.

ბევრგვარი უნახავს
მგზავრ პოეტს მწვანილი,
ამჟამად მას მხოლოდ
ერთი რამ აოცებს:
რაგვარად მიაგავს
ქართველს ესპანელი –
არც ბორდო ათრობს და
არც ცეკვა აოსებს.

სწორი ხარ, სწორი ხარ!
ნეტავი მსგავსება
იყოს და კიდევაც
სჯობნიდნენ ერთმანეთს,
იმგვარის დროშებით
და შრომით ავსება,
როგორიც ჩვენშია,
ვუსურვოთ ესპანეთს!

წელან კი ამ კაფეს
ზმანებას ვადრიდი,
ესმით კი? ესმით კი,
როდესაც ჯაზია?

რა ალში ეხვევა
ლამაზი მადრიდი,
ის კატალონია
და ანდალუზია!

1935

აპისინელი ჯარისკაცი

ორნი ძმანი ვიყავით,
მე მჯობნიდა პირველი,
სიმამაცით, გატანით,
შრომით გასაკვირველი.
მე ვიყავი კეთილი,
ის – სხვა სულისკვეთების,
მკაცრად ჩამოკვეთილი
რისხვა მძლავრი ქედების.
ძმა წამართვა ზუზუნმა
მომხდურ მტერთა ტყვიების,
ან გულს ცეცხლად ედება
გრძნობა შურისძიების.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქვს ძლიერი,
მხეცი, დაუნდობელი
არის იტალიელი.
დაიღუპა ჩემი ძმა,
სოფლებსა და სადგურებს
ცეცხლი უფრო და უფრო
ლენავს და ანადგურებს.
ბრძოლა, თუნდაც გათავდეს,
ვინ რომელს გაასვენებს,
მე კი სისხლის ალების
ფიქრი არ მომასვენებს.
მე დროს ვუცდი შესაფერს,
ის დროც მალე დადგება,
ჩემი თოფ-იარალი
მაშინ გამომადგება.
დაიღუპა ჩემი ძმა,
ცა მას ცრემლებს აპკურებს,

სისხლიანი გრიგალი
სამშობლოს ანადგურებს.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქას ძლიერი –
მტერი, დაუნდობელი,
არის იტალიელი.

1935

გველი და ცხვარი

თითქმის ორი
ათასი წლის
წინ ცხოვრობდა ფედრი.
მან დასწერა
ბევრთა შორის
ეს არაკი მკვეთრი:

იყო სიცხე.
მოხდა ისე,
რომ წყურვილით ხელი
ნაკადულთან
წყალს მიაწყდა
ბატყანი და მგელი.

თავთავისი
წყალსასმელი
არე ჰქონდა მათგანს:
მგელს სულ მაღლა,
სულ დაბლა კი –
იმ უბადრუკ ბატყანს.

მაშინ მგელმა
მრისხანებით
რომ დააღო ხახა,
დაიძახა:
წყალს რად მიმდვრევ,
შენ, მართლაც რომ გლახავ!

შეკრთა კრავი,
ძლივასა სთქვა:
შენ და შენი ღმერთი,
მე ქვევით ვარ,

შენ კი ზევით,
რის ამღვრევა – ერთი!

ამ სიმართლის
გაგონებით
ჯერ დაიძნა მხეცი,
მერე კი სთქვა:
შენ არ იყავ,
შარშან აქ რომ მეცი...

– სულ არა ვარ
დაბადებით
იმ ხნის, – ამბობს კრავი,
მგელი ეტყვის:
მაშინ მამა-
შენი იყო ავი.

რაღა ბევრი
გავაგრძელოთ,
მსწრაფლ მივარდა მგელი,
არც აცივა,
არც აცხელა,
ბატყანს გაჰკრა ხელი“.

მაგრამა სთქვით:
ეს ამბავი
რითი არის ძველი,
აბესინელ
კრავს თუ ერჩის
იტალიის მგელი?

[1935]

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ

რას, რას იპოვი
აქ, საზღვარგარედ,
რომ ის ჩასთვალო
მზედა და მთვარედ.
არ ღირს მსოფლიოს
მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად,
სამშობლო მხარედ.

იქ ხომ გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შეღამება;
ჩვენში არც მწარე
მარტოობაა,
არც სასიკვდილო
არის წამება.

სტუმართმოყვარე
ჩვენ გვაქვს სახლები,
მათ ხალისიან
ღიმს ეახლები;
დეჟ, შორიდან
კივოდეს ჭოტი
და თავგადაკვლით
ყეფდეს ძალლები.

ჩვენი გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შეღამება.
დიდი ხანია
გათენდა, გულო,
დიდი ხანია,
გაჰქრა წამება.

ტბა ალექსან ზონაზე

მივდიოდი ყვავილების ველით,
გზაზე, ოსტატ ოქრომჭედლის ხელით,

ბეჭდის თვალში ჩაჭედილო ტბაო,
შენს ნაპირად ჰშვენის ბზა და ბაო.

სწორი ნაძვი არის ალვის მსგავსი
და ნაძვებს ქვეშ დაყრილია ხავსი.

მწუხარება ველის აქ არ არის,
არ ჰყვავიან ყვავილები ბარის.

სპეტაკია, როგორც სარკის ბროლი,
შარშანდელი, გაუდნობი თოვლი.

სისპეტაკით და სიწმინდით სავსე
ფერადდება მშვენიერი ხავსი.

მომტყდარი ხე ახალ ხავსზე მოწვა,
მეხმა მისი გული ცეცხლით მოწვა

და გაშალა თეთრ-ყვითელი გზნებით
მონადირეთ გასავლელი გზები.

ალპიური ყვავილების კონა –
ასეთია მშვენიერი ზონა!

აქ პოეტის მგზნებარების საგანს
ის ფერი აქვს, რაც არაა სხვაგან.

მარად რჩება მოგონება ვრცელი –
მაღალ მთაზე დაფენილი ველი.

[1935]

ወጪዎች ፊዴሮት

ስኩምበናዊ ፊዴሮ,
የጠቅላላ ስርጓሜ,
ዋል ገመድናለሁ,
የጠቅላላ ተአሩጭ.
ፊዴሮች ቀጥረጥሮ,
ክሬታች ቀጥረጥሮ,
አይታች ቀጥረጥሮ
ለግብና-ፋርማው.

በሆነች ቀጥረጥሮ,
የጠቅላላ ስርጓሜ
ለአማራርጥናነት
ዚ ፊዴሮ-ፊዴሮ
ሆኩምበናዊ ፊዴሮ
ገዢፈልግ ንግድ,
ከና ቀጥረጥሮ,
ከና ፊዴሮ-ፊዴሮ!

[1935]

ღრუბელი ახაობის

შენ ისვენებდი, მრავალის
მომსწრე, სასახლევ, დროების;
ჩემი თვალი კი იმ ღამეს
ნარნარ ტბას გადაეყურა.

უდაბურ ზეცას ეხურა
ლრუბელი ამაოების,
ამაოების ლრუბელი
უდაბურ ზეცას ეხურა.

რამდენი, მითხარ, სასახლევ,
თავგანწირულად, მეხურად
დაგრიალებდა ეტლები,
ხალხის გრძნობითა მგუბველი?

ამაოების ლრუბელი
უდაბურ ზეცას ეხურა,
უდაბურ ზეცას ეხურა
ამაოების ლრუბელი!

[1935]

TABES D'ORSALIS

ქვევით მილების
ურიცხვი ხე-ტყე,
ზევით კოშკები
და კიოსკები.
მათში მიმოდის
ქალი ყოველდღე,
რომლის სახელი
არის როსკიპი.

არარა ისე
არ მეცოდება,
როგორც მონმარტრის
ვიწრო გალია,
მისი მწარეა
სახელწოდება,
მისი შემქმნელი
კაპიტალია.

თრთის კავალერი:
ეს დალალ-კავი
და ეს ბიუსტი
ალელვებს სავსე.
გინდა ჩემს მკლავზე
მედოსო თავი
და გინდა ცოლის
დამღალველ მკლავზე.

და როცა ასე
სჯის გრძნობა მისი,
უცებ შეკრთება
დარბაზი ლალის,
შემოიხედავს
ომი, კრიზისი
და შავვეშაპა:
Tabes d'orsalis!

[1935]

პრიზისისაგან თავის დაღევა

ის კრიზისისგან
თავის დაღწევას
იმპერიალისტურ
ომებით ფიქრობს,
თვალს არ აშორებს
საშინელ მიკრობს,
მითი მსოფლიოს
ფიქრობს წაქცევას.

დორომ დაჰკრა და გული
ამოწვა,
რას დაეუფლები?
მრისხანე ღრუბლები
ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

ყოველი ჩარჩის
და არამზადის
სახსარია თუ
შესაძლებლობა,
უნდება მხოლოდ
ომის სამზადისს
და მძვინვარების
ლაფში ეფლობა.

გაისმის ზარის ხმა და ლოცვა,
შეკრულან შუბლები.
მრისხანე ღრუბლები
ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

მაგრამ მძლე ომის
საშიშროების
გაზრდასთან ერთად
იღვიძებს კლასი –
მუშათა რაზმი
ათას-ათასი,
მტერი ომისთვის
ქმნილ მყუდროების.

1935

პარიზის სეზონი

ხედავთ? სეზონი ავიდა
მწვერვალზე, როგორც ზმანება,
ათასგვარ სანახავითა
სჩქეფს ბალთა ახმოვანება!
სიმღერებს დაეტანება
რყევანი უმიზეზონი,
ფრანკიც ძირს მიექანება
და ასე მიღის სეზონი...

სეზონში, ვიტყვი თავიდან,
ტენორნი იქცნენ ბანებად.
პრესა კარგს ვერ ცნობს ავიდან,
ავი კარგს დაემგვანება.
სვიპსტეიქს მიეტანება
პარიზელების რეზონი,
ფრანგი ფრანკს ეთაყვანება
და ასე მიღის სეზონი...

„სიცხეს როგორმე ავიტან, –
ამბობს სხვა, – დამენანება
აფეთქებათა ზვავიდან
ჩვენი ხმის დაგვიანება.
ვით გულის დაზიანება,
თრთიან ღარიბთა ეზონი.
პარიზი ბედს მიანება
და ასე მიღის სეზონი“.

აქ თამამი ხმა თავიდან
ზოგ-ზოგს არ ეპრიანება.
ზოგს, მოსულს სანახავიდან,
სიტყვის თქმა დაენანება.
უეცრად, როგორც ბრძანება,
ხმა სწვდა ქოხს, არა – მეზონინს.
გაისმა ალფროვანება
და დაყირავდა სეზონი!

1935

გიგანტი ყოველი დროის

და გიგანტი ყოველ დროის,
მახვილი და ბრძმედი –
აღიმართა მსოფლიოს
ერთი მეექვსედი!

ერთადერთი არის მხარე,
სად იმარჯვებს სიბრძნე.
ნისლი რჩება საზღვარგარე,
აქ კი – მზეა, სივრცე!

1935

პეინეს სტრიქონის გამო

რომანტიული
ქნარის წკირაში
ნირშეუცვლელი
იყო გალობა:
ბედნიერება
არის მირაჟი,
უბედურება
კი რეალობა.

უბედურება, –
სხუხდა ჰეინე, –
დინჯი, მოხუცი
არის ქმნილება,
თუ ერთი გნახა
და მოეწონე,
სიკვდილის დღემდე
ქნარს გეცილება,

ასეა, ასე:
მხოლოდ სიზმარში,
სიუბრალოე
და სიადვილე –
უბედურება
არის მირაჟი,
ბედნიერება
კი სინამდვილე.

მე არას ვიტყვი:
ბევრის ვარ მოწმე
უბედობით და
ბედნიერებით;
პირად საკითხში
ამ ორი მოძმის –
ნურავინ ქეყნად
ნუ ჩავერევით!

[1935]

სიმუშონია მცენარეების

იმდენს იმეტებს ნათელ იმედებს
მცენარეების თავბრუდახვევა:
სან შადრევნებში ყელს გადიგედებს,
სან მზეა მათი ყელგადახვევა.

დღეს ყველაფერი სახეა ხვალის,
აქ ყველაფერი სახეა ზეგის;
არ აქვს საზღვარი მცენარეთ ხალისს,
ჩვენი მზიანი ზღვის პირად მდეგის.

მისთვის ხომ ეს გზა წმინდა ბროლია
და გზა არ ჰქვია, არამედ გეზი –
ეს ლიანები, ეს მაგნოლია,
ჩაის ბუჩქების ველი უვრცესი.

ალარ დაცხრება ეს სიმფონია –
აელვარება ადულებულ მზით –
მთელი მსოფლიო, ასე მგონია,
მიდის მის მიერ აუღერებულ გზით!

8. I. 1936

პერლინი

რაიხსტაგის წინ რომ ეგდო ჩვარი –
ესაა დროის მსუბუქი მტვერი,
გარდამავალი, ვით ზენაქარი,
და შეშლილობა მიხაკისფერი.

გამარჯვებათა ხეივნის არეს
მეფეთ ძეგლები მიწისფერია,
აქ მარადისი არარა არის,
აქ სიკვდილია, აქ ჰიტლერია.

მომავალ დღეთა იტყვის ჭახჭახი –
რას ნიშნავს მხეცის დღე და სოფელი,
რომ შეუბრუნოს ჯალათს ნაჯახი
უფრო მრისხანე და ულმობელი,

რომ მხეცს აწყვეტილს შეაბას თოკი,
რომ კარებს დახშულს მოგლიჯოს რაზა –
ის ჰიტლერია თუ დელაროკი,
განადგურდება იმათი რასა!

9. I. 1936

* * *

ფერი მზესა და ქარს მოჰყავს
გაზაფხულის სადარი,
შენ კი ლოყას
გადაგუროდა ზამთარი.

მიდიოდი, როგორც მკვდარი,
როგორც მკვდარი სანანი,
ჰქონდა ქარი,
თრთოდა იასამანი.

სალხის ზვავთა და გლეტჩერთა
გარს ბრუნავდა მდინარე;
არ შეჩერდა,
არ იკითხა: ვინ არი?

ეხლა სხვაა. კაცის თვალი
ქალს სიხარულს ადარებს,
სადაც ქალი
ქალის სახეს ატარებს.

სალამი ამ მწიფობისთვეს!
მზე რომ სჯერა მცინარი.
ყველა გისმენს...
და კითხულობს: ვინ არი?

ფერით მზესა და ქარს მოჰყავს
სიხარულის შევსება
და შენს ლოყას
გზნება ეალერსება.

24. I. 1936

* * *

გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს.
ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი.
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი.

კარგია, როცა რიურაჟი მოდებს
სიმინდს და ხეებს ნამების ლივლივს;
საკმარისია შეეხო ტოტებს
და ნამი თავით კოჭამდე გივლის.

შორით კი ხვამლი მოსჩანს ცისფერი,
როსმე ის ჩემი იყო ზმანება.
გაივლის თვალწინ იგი სიზმარი
და რაღაც მწარედ დამენანება!

ხე ფოთოლს ისხამს, ხე ფოთოლს ისხამს,
ქალაქის ბაღი და სოფლის ზვარი.
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
მაცოცხლებელი ეცემა ცვარი!

25. I. 1936

ამ არემარეზე

სულ ამ არემარეზე
უცნაური ის არის:
გადაწევა უქმია
რკინისგზების ისარის.

საბარგო მატარებელს
თვალი ვერ დაინახავს.
ალბად ინდუსტრიალურ
საიდუმლოს ინახავს.

ჩვენში, აბა, უსმინეთ,
ალტაცებას მიცემულს –
მრავალთ-მრავალ ბორბლების
გრგვინვას გრიგალისებურს.

25. I. 1936

იპატი

ყრუ მონასტერი იპატიევის...
აი, სათავე
სინათლის რწმენის არპატიების,
წინსვლის სადავე.
იმ კედლებიდან რუსეთი ნანობს
შეცდომას მწარეს,
რომ ჩააბარა ტახტი რომანოვს,
მტერზე უარესს.
სამასზე მეტი წელი გატევის
მოსჩანს, ვით მტვერი,
მათი სამშობლოც – იპატიევის
ყრუ მონასტერი.
აი, აჩრდილი სქელი მტვერიდან
საუკეთესოს
დიდი ხნის შემდეგ მონასტერიდან
მიადგა ეზოს.
ვისია სახლი? – ჰყითხულობს ბერი,
მსხვერპლი ძიების,
უპასუხებენ: ინჯინერისა,
იპატიევის.
აქ ყველაფერი თითქო ქანაობს,
როგორც სიმბოლო,
აქ უკანასკნელ მეფეს – რომანოვს
მოელო ბოლო.

25. I. 1936

ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს

არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს,
ო, რა ხანია,
ეხლა კი შევხვდით,
აგე, კაფე „მანჟატანია“.
ეხლა ჩვენ შევხვდით, ნუ უყურებ
დღოთ უხსოვრებას,
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!
გახსოვს ავდრები ნათესების
და საძოვრების?
ეს იყო სევდა და ბურუსი
ძველი ცხოვრების.
გახსოვს შორი გზა... ცდა მოგების
და საშოვრების?
ეს იყო ბნელი გვირაბები
ძველი ცხოვრების.
გადავივიწყოთ სილარიბე,
გამათხოვრება –
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!
არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს,
ო, რა ხანია,
ნამეტანია, მეგობარო,
ნამეტანია!
ის მოგონება გავატანოთ
დღოთ უხსოვრებას –
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!

იანვარი, 1936

დიდი, სახალხო!

ვინც კი პოეტის, მხატვრის, არტისტის –
უშვებიერებს ატარებს სახელს,
მე მინდა ვუთხრა: სამშობლო გიცდის,
სამშობლო საქმეს გთხოვს ახალ-ახალს.
პოეტს, რომელიც წრფელია გულით,
ვისიც სიმართლით ჰწყავს საწყაული –
ეხმაურება სრული გუგუნით
ეს დღევანდელი დღესასწაული.

გზით გაკვალულით თამამად მიდის
თხუთმეტი წელი დიდი დიდებით,
სავსეა მხარე თუნდაც კოლხიდის
სასწაულების მაგალითებით.
ამშენებელი, რომელიც წინად
კარისყურამდე აღწევდა ძლივას –
თავს დასტრიალებს ფოლადს და რკინას
და უდიადესს შლის პერსპექტივას.

სწორედ ის დღეა, როდესაც მხატვრებს
აფრთოვანება არ აკლებს თემას,
თავისუფლებას, იდეებს, ნატვრებს,
ნიჭის, ლირსების პატივისცემას.
რა ძლიერია მხატვრის იერი,
როცა ამაყად დროშებს ჩაუვლის:
სტალინის დროშის მონახა ფერი,
ფერი სახალხო დღესასწაულის!

[1936]

306 სთევა!

დაბლა ჰყურია ქვა და გუნდა,
ხმელი წეშო, რკო და წაბლი,
მაღლა მთაა, სადაც უნდა
გადაფრინდეს დირიჟაბლი.
გაოცებით მწყემსი წყნარი
ისმენს ციურ დაირასა;
ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი
სამუდამოდ დაირაზა?

ქვევით სახნის-კავის მდელო
მიაქვს დროთა უხსოვრებას,
ახალს აგებს საქართველო
ბეჭნიერს და მძლე ცხოვრებას.
მაღლაროდან მადნის სრული
ფენა შუქად დაირაზმა –
ვინა სთქვა, რომ მინის გული
სამუდამოდ დაირაზა?

მზეა მშრომელების ტომის
და დიდებით მიდის დიდით
სოციალისტური შრომის
სასწაულთა მაგალითით.
სავსე რწმენით და იმედით
ხალხი მიდის ახალ გზასა;
ვინა სთქვა, რომ მუშის ბედი
სამუდამოდ დაირაზა?

მოლოდინმა მტრების თვალებს
იმედები დაულია, –
ჩვენი დროშა დაფრიალებს,
ჩვენი დღესასწაულია!

გავარღვიეთ კლდე და ზღვარი
და მსოფლიოს ვაწვდით ხმასა:
ვინა სტქვა, რომ ქვეყნის კარი
სამუდამოდ დაირაზა?

მხარეს ვხედავთ მდიდართ-მდიდარს,
მას დოვლათი არ ელევა
და თავდასხმას არავითარს
აღარ ძალუდს მისი ძლევა.
მასსა – სტალინია მძლავრი
და სტალინი არის – მასსა,
ვინა სტქვა, რომ სიბრძნის კარი
სამუდამოდ დაირაზა!

[1936]

ესპანეთის გმირობის

აი, ნამდვილი გმირთა-გმირობა
და თავდადება,
ნაყოფით მისით ქვეყანა მაღა
ათავთავდება.

დრო მოვა, ძმებო, და ჩვენ მოვნახავთ
ხიდეს გადებულს.
მივესალმებით კიდევ ერს მებრძოლს
და თავდადებულს!

14. X. 1936

ო, მაინც რომ ვერ...

მონ-მარტრში შენი თვალები –
ლრმა, უბოლოო, უსახო.
შენ კვნესი, შენ იმალები,
არც ვინ გყავს, რომ დაუძახო.

უდაბნოდ გაჰქრა მრავალი
სიკეთე, ზნე და ზნეობა,
არავინაა მავანი,
გაგიყოს მოცალეობა.

ატარებ ნიღაბს და რიდეს,
საოცარ გამოტარებას,
ო, სასიკვდილევ, სიმშვიდეს
ვინ მისცემს შენს მშფოთარებას?

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ურუოლით ამტანი –
შენს არემარეს, პარიქო,
აშუქებს კაფეშანტანი.

5. XI. 1936

მონ-პარნასი

თქვენი დროის ზღაპარი
ძველებურად ნაზია,
თქვენი თავშესაფარი
ისევ „მონ-პარნასი“-ა.

პროლეტი ელვის კამკამი,
ელვარება იმ ღვინის,
პროვანსი და შამპანი
მშობლიურად გილიმის.

თმახუჭუჭა თუთუნის
ბოლი თვალებს ედება,
ისმის ჩუმი დუდუნი –
ძველი შემოქმედება.

ლანდი, შეფარებული
იმა დროთა ყოვნებას,
უნებურად გაგონებს
უკანასკნელ ომნიბუსს.

1936

* * *

სადღაც დარჩა, შორს, სტოკოლმი,
მჭლე გლეხობა, ფინრდები.
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

იქ თვლა არ აქვთ ამანათებს,
სიუხვეა და სიმღერაც
კოლმეურნის ოჯახს მატებს
სიხალსეს ფერად-ფერადს.

სხვათა მოჯამავირობით
რომ სწყევლიდა ბედისნერას,
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს.

მშრომელს საბჭოთ ქვეყანაში
ვერ დააკლებს მტერი ვერას,
ათასობით ითვლის სახლში
გამარჯვებებს ფერად-ფერადს.

სიხარულით იწყავს ხორბალს,
გოგრებს, მწვანილს და ჩხავერას,
ატრიალებს ღერძი ბორბალს
მხიარულს და ფერად-ფერადს.

დრო მიდამოს აკამპამებს,
შეძლებული სხივით ფერავს
პიანინოს, ფარდებს, დგამებს
და ხალიჩებს ფერად-ფერადს.

და ითვლიან აწ თვითეულს,
როგორც ნანატრ რამე ბგერას,
დღეებს, როგორც ამ ჩითეულს,
საამურს და ფერად-ფერადს!

სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი,
მჭლე გლეხობა, ფიორდები,
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

1936

ნარცერა ანატოლ ფრანსის სურათზე

კარგი ოსტატი,
შემომქმედი უმწერვალესი,
ვინც სიტყვას მისცა
ყინულის და ცეცხლის ხალისი –
ენა ფრანგული
ჰქებარებელი,
უდარებელი,
იშვიათი, კეთილშობილი.
მხოლოდ გუგუნი
იყო მისი ხმის რეზონანსი –
ანატოლ ფრანსი,
მშვენიერი ანატოლ ფრანსი!

მწარე დაცინვა,
მოელვარე – როგორც მახვილი,
მათდამი ზიზღის
უმწარესი გამომსახველი,
ვინც მარგალიტით
და ოქროთი მოავარაყა
ბურჟუაზიის
ბატონობის მთელი მარაქა.
ის იყო ციცხვი,
წინაპარი მოვლენის დიდის,
რომელიც ეხლა
ახალი გზის ძიებით მიდის.

მხოლოდ გუგუნი
იყო მისი ხმის რეზონანსი –
ანატოლ ფრანსი,
მშვენიერი ანატოლ ფრანსი.

1936

ჰატარა პირი

სანაპიროს ნაგვის ყუთში
გულსაკლავად სძინავს პიერს;
მოკუნტული წვიმით ბავში
სიზმარშია: ერთ მშვენიერ

მინდვრად თითქო სოფელია,
აქ, ქალაქის შორე-ახლო
საცოდავად იყურება
პიერისა სამოსახლო.

ალიონზე ქალაქისკენ
მიაქვს ძველი მას კალათი,
იქ არაფრით მიმავალი
შინაც მოდის არარათი.

პიერს ეზოს ბოლოს უდგას
ერთადერთი ძირი მსხალი –
მისი ბედი და ნუგეში,
მისი მზე და მარჩენალი.

მსხლის თვისება ზღაპრულია:
ზამთარ-ზაფხულ, ყოველ დილით
მადლიანი ხის ტოტები
იტვირთება მწიფე ხილით.

მით საზრდოობს. პიერისთვის
ხე მფარველი არის ხატი,
მაგრამ ერთხელ სალამოთი
ცრემლით ხვდება ხე მარადი.

ვერა ხედავს მწიფე ნაყოფს,
გაუძარცვავთ მძიმე მსხალი,

ვინ მოვიდა, ვინ დააშხო,
რომ არ დარჩა ნატამალი?

და ყველაფერს მიხვდა პიერ,
ხედავს პიერ, რა ეჭვია,
რომ დღეიდან დაიღუპა,
რომ მას ქურდი შეეჩვია.

გაიღვიძა აქ პიერმა
და წამოხტა, ვით ბურდული,
ბავში, როგორც სიცხადეში,
სიზმარშიაც გაქურდული.

1936

ანდრე ფილი და ანდრე მალრო

ბერიკაცს ქუდი წარბამდე ხურავს,
ჭაბუკს კი გვერდად,
მაგრამ კონგრესის ჭერს და სახურავს
აგეპენ ერთად.
სახალხო ფრონტის აგებას უცდის
თვალთ ელვა შუქის,
ალფროვანება როგორც მოხუცის,
ისე ჭაბუკის.
ორივესია ივნისის გული,
ეს მზე, ეს სიო.
ეს ხმაურობა და გაზაფხული
ორივესია.
არც ერთს არ ეტყვის მისთვის სამდურავს
ეს სიმაისე,
ანდრე უიდს ქუდი რომ ასე ხურავს,
მალროს კი ისე.

[1936]

ქუჩის მომღერალი

მან ეზო-ეზო
კარიდან კარად
ბევრი ლამაზი
სიმღერა ხარჯა,
მაგრამ არავინ
ჩასთვალა არად:
მას ძონძი მოსავს,
მდიდრებს კი – ფარჩა.
ქამანჩა, ქმნილი
ცრემლების ლვარად,
აი, სულ – რაც მის
ცხოვრებას დარჩა.

1936

* * *

აყვავილდა ყაყაჩო,
ვარდი და აკაცია,
ელისეის მინდვრებზე
მშვენიერი დარია.
ჰყვავის პარმის იები,
ჰყვავის ჩაის ვარდები,
მხოლოდ მრავალთა გულში
ისევ იანვარია.

1936

მთები

კავკასიის მთები. ვერთობი
ალპიურ ველით. არც ყინავს.
თოვლიანია ფერდობი.
ჩადის ფერდობი და ბრწყინავს.

სვანმა გაშალა ნაბადი,
დაენდო და მისრიალებს,
ქვევით მიღელავს ნაკადი,
ზევიდან ზეცა კრიალებს.

შეთანხმებულან კლდე-ზვავნი,
უშბა, კოშკები და ლილე,
იმღერის მფრინავი სვანი:
მისი მზე და სიყმანვილე!

ნაბადი ფრინავს და გუდა,
არ ხვდება არარა სამნად.
არ მიაჩნია ცა ქუდათ
და დედამიწა ქალამნად.

ყველა წიგნები დავხურე,
ოცნება იწყებს მთოვრებას,
ვდგევარ, მაღლიდან დავცურებ
სხვას, სულ სხვანაირ ცხოვრებას.

იყო მთლად შეუმოსავი
კაცობრიობის აკვანი,
იყო ერთ მუჭა ბრბოსადმი
მრავალთ-მრავალის თაყვანი.

იყო ბორკილი მონობის,
გზა უამური შრომისა,
იყო ცა უპატრონობის,
ვით ნისლი შემოდგომისა.

ადამიანმა დაჲჰეარგა
სიხარული და მზე ტკბილი,
ცხოვრებამ გადააქარგა
მწარეზე მწარე ლიმილი.

ბევრი დაღლილა ჯალათი
მებრძოლთ თავების წარკვეთით,
იყო ომი და დალატი
და ყოფნა სასოწარკვეთით.

ჯალათი იგი ქვა-გრძნობის
და ბნელი სულისკვეთების
ღამით სწვდა კაცობრიობის
სხივსან შემოქმედებას.

დღეს კი მსოფლიოს მეექვსედს
ჩემს სამშობლოში სვიანი,
სხივმოსილი და მოლექსე
დამკვიდრდა ადამიანი.

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.

მიჰყავს – ვით სიმაღლეების
არწივთა ხმობა ალური –
ჩვენი უბადლო დღეების
მსვლელობა გენიალური.

ულევი – დროს ეუფლება
ვეფხვთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.

და ხანა უხვად ამდიდრებს
არნახულ ბედნიერებას:
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,
სიმღერას, მეცნიერებას.

უმდიდრეს მემკვიდრეობის
საგანძურია ნახული –
სადმე მთისა თუ ხეობის
კლდეებში გადანახული.

მოლივლივებს და ითლება
სხივტეხილების ფენობა,
ხალხის არ გამოითვლება
სიმღერათ რაოდენობა.

იმათი რაოდენობა
ვარსკვლავთა რიცხვს თუ ედრება:
ჩვენი ქუჩა და შენობა,
ანთება, გადათეთრება.

შეტრიალებულ რკინიდან
ალი მოღვივის ფერადი,
შრომის ეცემა მინიდან
ნათელი ათასჯერადი.

მარადი სიმაისეა
ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარულიც ისეა,
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

და თუ რომ მტერი ფიცხელი
მოგვეტბორება ღვარებად,
ჩვენი ლითონის სიცხელის
შეხვდება გავარვარება.

სვანო! აქ მტერი ვინ არი?
დალეწილი გაქვს ხუნდები,
ნამით ნაბადით მფრინავი
მთას თვითმფრინავით ბრუნდები.

იფრინე, ფრთა მოილერე,
მიჰყევ სიმღერებს ანარჩევს,
რომ გადაედოს სიმღერა
მსოფლიოს ნაწილს დანარჩენს.

იფრინე, შენთვის ეს ლია
სივრცე მშვენიერ ფერებით
ცხოვრების უხვი ბალია,
ალსავსე ბედნიერებით.

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი,
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

[1936]

მერის თვალებით

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ლამე
დახურულია გული, როგორც საკანი რამე.
თითქო უმძიმეს კარებს კუპრის დაედო ლუქი,
გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სიხარულის შუქი.
გაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი,
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ლამე.
აჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა.
არც პოეზია მატკბობს, არც მეგობრობა წმინდა.
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ლამე –
არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.
ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა –
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

[1936]

**სახლიდან გავიდა
და
აღარ დაპრუნდა**

საღამოს სხივები –
ღრუბლებში დაგროვდა,
აიმლვრა, აიმლვრა,
დაიძრა, დაბრუვდა
და სხივი, რომელიც
სარკმელთან გამრუდდა,
სახლიდან გავიდა
და აღარ დაპრუნდა!

გაჰქრა! წინანდელი –
ჩავაქროთ სანთელი.

[1936]

ԱՐԵՎԵԿՈ

080 - მოია

ნუ ქვითინებს ჭიანური,
დააჩუმეთ თარი,
არაადამიანური
ავი დარის დარი.
ო, ნუ მღერი! როცა მღერი,
ზღვები, მთა და ბარი –
ყველაფერი, ყველაფერი
თითქო რიგზე არი.
თითქო მწარე ფრთებით მძლავრი
ქარი გულს არ სცემდა,
განუყრელი თანამგზავრი
ხეტიალთა ჩემთა.
არ ყოფილა თითქო ბნელი
ძნელი ლამის კალთა,
თანამგზავრი განუყრელი
ჩემთა ხეტიალთა.
დააჩუმეთ ჭიანური,
ნუ ღუღუნებს თარი,
არაადამიანური
ავი დარის დარი.
მაგრამ ჩუმად, ო, ეს რაა!
მწარე, ძნელზე ძნელი
გაილანდა ათასცხრაას
მეთოთხმეტე წელი.
შემდეგი წლები.
სანგრები.

საგუშაგოზე სდგას ჯარისკაცი,
ლამეა. ყინავს.
სადლაც ორკესტრის ისმის კისკასი,
სადლაც მზე ბრწყინავს;
აქ კი, სახლის წინ რა ამინდია!
კედელზე შუქად,
ლურჯ ხაზებად და ტბებად ჰყიდია
ევროპის რუქა.

და ჯარისკაცი რუქის ლურჯ ხაზებს
თითებით სინჯავს.
მახლობელ სანგრებს ყინვა აბრაზებს,
და აი, დინჯად:
ტრანშეებიდან ამოდის ორი,
შემდეგ მრავალი
ჯარისკაცების აჩრდილი შორი
სჩანს მომავალი.
დახეულ ჩექმებს, დაღრღნილ ფარაჯებს,
დაცვეთილ ქუდებს
ქარის და ყინვის ფრთა უდარაჯებს
და გულს ამტუტებს.
უცებ სანგრიდან ამოდის ბოლი,
ქარი დაუბერს:
ველების სივრცე და მთების ზოლი
ისმენს საუბარს:
– განა ეს არის ტანისამოსი?
მხოლოდ ჩვრებია!
– აჲ, მეომარო, ბედის ნამუსი...
გაგკარებია?
– დაცხრილულია ფარაჯის ტევა,
ტყვიების დროა.
– სადაც კი გავწევ, იქვე ირლვევა –
ისე ვიწროა.
– ჩემი ფარაჯაც სრულია მეტად.
ნყევლა ამ ამბებს!
– ო, ეს შარვლებიც მთლად დახრულია!
ვითომ დაბამბეს!
– თქვენ გეცინებათ, აი, სიმრუდე...
სხვა რაღა გვატებობს?
– საოცარია, რომ ეს ცხვრის ქუდიც...
ვითომდა გვათბობს...
– თქვენ გეცინებათ ეს სისასტიკე?
რომელიც ანგრევს...
– სოფლებს, ქალაქებს, ანგრევს და იგებს! –
ნყევლა ამ სანგრებს!

- ყინვავ, გეყოფა ასე ანცობა!
- არ გინდა ბინდი?
- ეს ქარიშხალი რამ გააცოფა!
- ოპოოპ! გავყინდი!

საგუშაგოზე სდგას ჯარისკაცი;
 ვიღაც სწერს წერილს.
 ვიღაც გულალმა მწოლარე ცას
 შესცექერს და მღერის:
 „არ ბრწყინვალებ, არ ენთები,
 გათენდი თუ გათენდები,
 ღამევ ბნელო.
 შუამთაზე ნისლი არის,
 ათი მთა რომ გადიაროს,
 ტყე და მდელო.
 ეს სიცივეც არეს ჰყინავს,
 ცხრა ღამეა, რაც არ გვძინავს,
 მთიდან მთაზე,
 თხრილში გვაგსებს თოვლის მტვერი,
 არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი,
 და ვართ ასე“.

- რა დაგმართია, კოჭლობ, ძმობილო?
- ვკვდები იარით.
- აბა, რამდენი გზა კარპატების
 გამოვიარეთ.
- მერე რა ცუდი და გრძელი გზები,
 ტალახი, ბანდი.
- შენც ხმა წაგსვლია, დახრინწიანდი?
- დავხრინწიანდი!
- რას იზამ, ეხლა საბნების ნაცვლად
 ყინვით ნალები
 ბევრს ნიკოლოზ მეორის ხურავს
 ბაირალები.
- მომე „მახორეკა“, დამიცხეს დალლა.
- ინებე, იახში.

- ო, გავიყინე! კარგია ახლა...
 - სოფელში? სახლში?
 - კარგია წყაროს წყალი გემოთი,
სუნთქვა სიოთი.
- რომ მივდიოდი და ვეცემოდი,
კვლავ მივდიოდი.
- ზარბაზნების რომ ატყდა ქუხილი,
გრგვინვა და ჭექა,
მე ერთადერთი მქონდა წუხილი –
სოფლების დეკა.
- შორს ერთადერთი ენთო სანთელი
ბალის ტოტებით,
აქ კი გრიგალი, კორიანტელი
თავგამოდებით.
- სოფელში თურმე ხვალ თუ ზეგ პური
აღარ იქნება.
 - ბავშვებს შიმშილი ხოცავს უუმური.
 - ამდენი ვნება!
 - ეს ყველაფერი ომის ბრალია,
ომის ხინვია.
- მახსოვს, პირველად სოფლიდან იმში
რომ გამინვიეს.
- ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი,
ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით
და ლრიანკელი,
ცად მიმავალი ცისარტყელებით;
უდარაჯებდა ცელქი ბეღურა
შურიან კატას ბოსტნის კარებთან,
სოფელს ეხურა
სალამოს ჩრდილი და მდუმარებდა.
დროით აფრინდენ ხეზე ქათმები,
დაუცხრომელი დაცხრა მერცხალი.
იდგენ ატმები.
- გამოჩნდა კვარი და ნაპერნკალი,
გადაქცეული ცისფერ გრძნობებად,

საღამოს ბოლი ბედნიერ სოფელს
ეშვიდობება...
ემშვიდობება ნაცნობ-მეზობელს.
ვიღაცამ ქოხის გააღო კარი
უხელოდ, უხმოდ, სუნთქვა დამალა.
ეს იყო ქარი,
ეს იყო მისი ბინდის ამალა.
და დავინახე: ახალი ზვარი,
მახლობელ სახლზე დამტყდარი კასრი,
ეს იყო მთვარე,
მისი ნელი ფრთა და მშვიდი აზრი.
შარაზე, ჩუმი ხეობის თავში
გვიან ტირილით მიდის ურემი.
კითხულობს ბავშვი:
– საით მიდიან ჩვენებურები?
არც ნისლიან დღის, არც ამიდიან
ან უამიდო დღის მოკრძალება,
საით მიდიან? –
კითხულობს ვერხვის აშრიალება.
მშვიდობით! ვიგრძენ, რომ აღარ არი
ბედნიერება გრძნობა მდებელი,
დარეკეს ზარი –
მსოფლიო ომის მაუწყებელი.
ეხლა? როდესაც მზე კვლავ ამოვა,
ის გააშუქებს სხვაგვარ თაობას,
ცხედრების გროვა
ცვლის მიუწდომელ სანახაობას.
საცაა, ასე გაზრდილი რიცხვი,
ვით მეზღვაურნი ტალღათა შორის,
დაპკივლებს რისხვით
და ეკვეთება ერთი მეორეს.
მაგრამ მოვა დრო, იგრძნობს იარას
და ახალ გრძნობას შეაშენდება.
დაპყრის იარალს,
რადგან ერთობის დროა, თენდება!

– მოვა დრო, ჯარი დაჲყრის იარალს,
 იშლება გროვა.
 – ჯერიც სხვაც ბევრმა გაიზიაროს.
 – ო, ეს დროც მოვა.
 გეთაყვა, კითხვა გერ ვისწავლე ჯერ,
 ვიცოდე ნეტა.
 მაშ, ნამიკითხე, აბა, რასა მწერს
 მოხუცი დედა.
 მეორემ სწრაფად გახსნა ბარათი:
 „ძვირფასო შვილო,
 მომკლავს მე შენი ხსოვნა მარადი,
 ღამე უძილო...
 უკაცო სახლზე გრიალებს კოხი,
 ცეცხლი ძლივ ღვივის,
 ლამის სულ თავზე დაგვენგრეს ქოხი,
 მაგრამ ვინ სჩივის, –
 შენ დამიბრუნდი ჯანმრთელი გმირი.
 არაფერია.
 ეს ძლვენიც მცირე, რასაც გიგზავნი,
 შენი ჯერია...
 ო, შვილო, წერვა არ მისწავლია,
 თუ არ დაღალდი...
 რომ დამეხმარო, შენი ვალია...
 ჩემი ქალალდი...“
 ამ დროს ვიღაცა დაიწყებს ნელა.
 აბარბაცებით –
 და ამ სიმღერას აჲყვება ყველა
 ჯარისკაცები.

„არ ბრწყინვალებ, არ ენთები,
 გათენდი თუ გათენდები,
 ღამევ ბნელო.
 შუამთაზე ნისლი არის,
 ათი მთა რომ გადიაროს,
 ტყე და მდელო.
 ეს სიცივეც არეს ჰყინავს,
 ცხრა ღამეა, რაც აქ გვძინავს,

მთიდან მთაზე,
თხრილში გვავსებს თოვლის მტვერი,
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი
და ვართ ასე!“

ღრმა სიბნელიდან მოხუცი ქალი
გამოდის ჩანთით.
მან ჯარისკაცებს მოავლო თვალი,
„აჱ, თქვენ არ სჩანდით“.
და სანთლით ხელში ათვალიერებს
სანგრებს და ჯარებს.
და ჯარისკაცებს, მაგრებს, ძლიერებს,
იპყრობს დუმილი.
– საბრალო ქალი! შავებითაა
იგი მოსილი,
შორი კუთხიდან, მრავალ წამებით
არის მოსული.
თვალებში ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს,
როგორც მორიგი
ვეხერთელა ფრონტზე თავის შვილს
დაეძებს იგი.
– მე დავინახე იგი სანგრებში,
ის შვილს ეძებდა,
ის ხშირად მოკლულ ჯარისკაცებში
თვალს აცეცებდა.
მას არ ჰქონია გზა მოთაფლული,
გზაა საზარი,
ჯარი მიწაში არის ჩაფლული
უზარმაზარი.
მაგრამ, ჩუ, აგერ, ისიც მოვიდა –
მოხუცი ქალი;
მან მხოლოდ ერთ ჯგუფს მრავალ გროვიდან
მიაპყრო თვალი.
– იქნებ იცნობდეთ, შვილო, გეთაყვათ,
ან გაგეგონოსთ,
მოჰკლეს, დამარხეს თუ სხვა ჯარს გაჰყვა
ის ჩემი შვილი?

დიდიხანია, არ მიმიღია
მისგან წერილი,
დარღებით გული მაქვს დასერილი,
მოვკვდი, ვენამე!
ტანზე ფარაჯა ძველი აცვია
რუხად ნაფერი,
ერთი საწყალი ჯარისკაცია,
სხვა არაფერი.
– არა, დედი, არ გაგვიგონია,
– არა, სწორებით.
– დამაცა, ვცნობდი, სადღაც მგონია,
იქ... მოშორებით...
ვინ იყო? სიდან ან რა კაცია,
ვინ და რაფერი?..
– ერთი საწყალი ჯარისკაცია,
სხვა არაფერი!
– არა, დედი, არ მოგვისმენია.
– დალალული ხარ, ჩამოისვენე.
– სანამდე ვინმე შვილს არ მაჩვენებს,
მანამ ქვეყნად მე რა მომასვენებს!
ო, ცეცხლო, ცეცხლო!

გადაბიბინება,
ცეცხლო, შენმიერი,
ალთა ხვეულები
სოფლებს მიანებეს,
ქვეყნად იფინება
მაინც მშვენიერი
მკვდარი სხეულები
ადამიანების.
ხშობით საშინელით
თხრილში ჩაჩრილები,
ნისლი მორგებია
სახე ფითრებული,
ახლა საშინელი

გროვა დაჭრილების
თითქმ მორგვებია
დასახიჩრებული.
მინდვრის პალახები,
იგრძნობს ადამიცა,
ამეტისტებიან
ხეთა ჩეროები,
მოდის ქალაქები,
მოდის დედამიწა,
სადაც იზრდებიან
რკინის ლეროები.
მაგრამ... საათია
ხანა ადრიანი,
დალლილ მოსანგრეებს
სძინავთ დალაგებით,
სამოცდაათიან
სანტიმეტრიანით
მიანგრ-მოანგრიეს
იგი ქალაქები.
ვეღი ქალაქს იქით
ომით დაირღვა-რა,
ერთი – მეორეში
წვიმით იცომება,
განა სისასტიკით,
რაც აქ დაიღვარა
სისხლის მორევები,
გამოიზომება?
მხეცი თოკიანი
დაპქრის უვნებელი,
ქვეყნებს შევლებია
ცეცხლის მეზოდენი,
დადგა ოკეანე
დაუსრულებელი,
ეს ხომ ცრემლებია...
მაგრამ ესოდენი?

მოხუცი ქალი თვალცრემლიანი
სიღრმეში მიდის.
ო, ღრმაა ძალა მისი ზიანის,
განცდების დიდის.
და ვინ გაიგოს, რამდენ ნაპრალში
არის მალული
ჯარისკაცები მისებრ საბრალო
და დაღალული.
ან ყველას როგორ უნდა უძახო,
ვართ მიწიერი,
მასსა უბრალო,
მასსა ძლიერი.
განწირულებაც მათ არ აომებს,
როს აქცევს სითხეთ,
სასაფლაოებს, სანატორიებს
და თხრილებს ჰერიტეთ,
საწყალი კაცი,
დაღალული ჯარისკაცი.

ჰაერში დაკიდულს
ჰერიტეთ ტერრასას
და შემკრთალ ხეებს,
ჰერიტეთ ცას რიდულს.
სწეულ სახეებს.
სწებას თქორიანს
ვინ გადურჩება?
ილურჯება
სანატორია
და შეღამება
შორი მილულვით
კვდება წამებით
და წყევლა-კრულვით:
– საწყალი კაცი.
– დაღალული ჯარისკაცი.

ომი, სასაფლაო და რკინისგზები,
მკვლელობათ რიცხვი.
ადამიანის სასიკვდილო ხრიალით სტკებება
ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი.
მსოფლიო ოჯახის ისტორია,
სხვაგვარ წარსულის მქონე ტიალი
სანატორია...
ეს მომაკვდავის არის ხრიალი...
ომი, რომელმაც გაბედა,
ომი უცაბედათ.
ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან.
მთელი საუკუნე მიღის სხვებისთვის,
მინდვრების საიდუმლო,
მთების საიდუმლო,
სასაფლაო და რკინისგზები...
ეს მომაკვდავის არის ხრიალი.
მინდვრების საიდუმლო,
მთების საიდუმლო,
საიდუმლოა –
საწყალი ჯარისკაცის,
დალალულ ჯარისკაცის!

მსოფლიო იყო ძლიერი ლომი
კლანჭებში მსხვერპლით,
ეპარებოდა საზარი ომი
ცეცხლიან ფერფლით.
ის მოჩვენებას ელოდა მრავალს,
მოვარდნილს ღამით,
და სულში ზრდიდა სუსხიან ყვავილს,
ალსავსეს შხამით.

ალსავსე სისხლით.
შურისძიება თვითეულ მარცვლად,
მისხლითი მისხლით
არის მშვენიერ ქალაქთა ნაცვლად.

მოხუცი ქალი თვალცრემლიანი
სიღრმეში მიდის,
ღრმა არის მისი გულის ზიანი
და ტანჯვის დიდის.
უცებ სანგრებთან მიტოვებული
განათდა სახლიც.
მთავარსარდლების მოსჩანს კრებული,
ვერ ეტყვით დალლილს.
შეექცევან უძველეს ღვინოს,
ღვინოს და ბანქოს,
ვიღაც ამღერებს ძველ პიანინოს,
როგორც უმანკოს.
ჰიმნები სახელმწიფოთა.
აყრუებს დარბაზს.
ჰიმნი გაისმა და კრება მთელი
დგება ბარბაცით.
ჯარისკაცებო! თქვენ სულში ნისლით
დიდხანს ეხეტეთ...
ვისთვის იღვრება ამდენი სისხლი?
აბა, შეხედეთ!
თქვენ დაიხსომეთ ეს გზა, ეს არე.
ეს თოვლი სადა.
სახლიდან ხმები მოისმის ცხარე:
მიდიხართ? სადა?
ფანტომებივით გამოცვივდება
სახლით ქალები,
იმათ თვალებში არ გაცივდება
ცეცხლთ მხურვალება.
ახალგაზრდული თავდავიწყებით
თუ გაგიუდა, ვინ?
მათი უგონო ცეკვა იწყება
ჯარისკაცთა წინ.
ფანტომი მიჰერის და თავს იმეტებს,
განცდა – ავია.
ძგრიალი გააქვს კასტანიეტებს,
რა ამბავია?
– ნეტავი მართლა ქალნი არიან?

თუ გვეჩვენება?
– სინამდვილეა თუ სიზმარია?
ან შეჩვენება?
– ხედავთ, აქ ცეკვავს ხანჯლებით ყველა.
ეს ფანტომია?
– არა, მსოფლიო არის კოშმარი,
იგი – ომია.
ომია, რაიც ამრავლებს ტანჯვებს
და ურიამულში
ცეკვავს, გიუდება; ო, იგი ხანჯლებს
დაიცემს გულში.
აააჲ!

.....

უეცრად მთებით მოჰქრის რაკეტი,
თვალს ესიცხება.
და ჩოჩეოლია... ომი? აგეთი?
აჲა, იწყება.
ჯარის უფროსი ყვირის იერით:
თოფი დატენეთ!
მტერი ულმობელს იწყებს იერიშს,
მოემზადენით!
საცაა, ასე გაზრდილი რიცხვი,
ვით მეზღვაურნი ტალღათა შორის,
დაპეივლებს რისხვით –
და ეკვეთება ერთი მეორეს.

საბრალო ჯარისკაცი.
დალალული ჯარისკაცი.

ჯარისკაცებო, თქვენ სულში ნისლით
დიდხანს ეხეტეთ,
ვისთვის იღვრება ამდენი სისხლი?
აბა, შეხედეთ!
აივნიდან ხმა: – იერიშისთვის!
ჯარის ხმა: – არა!
ვისთვის ვიბრძოლოთ, მთავრობებისთვის?
ომი ომს! კმარა!

– გაუმარჯოს ინტერნაციონალს!
– გაუმარჯოს გაფიცვებს!
– გაუმარჯოს აჯანყებას!
– ამხანაგებო, ომი ომს!
– გაუმარჯოს რევოლიუციას!
ჩვენ ვგრძნობთ ტკივილებს, მწარე იარას,
ვერ დავრწმუნდებით –
